იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ხმა

გამოცემის მე-10 წელი

№ 18-19 (156)

ოქტომბერი, 1966 წელი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა



შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში — „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ჭუჩაზე.



მოსკოვში რუსთაველის ძეგლის გახსნისას სიტყვას ამბობს პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი.

მსოფლიო პოეზიის გენია

მოსკოვში გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი

მსოფლიოს ხალხთა დიდ დღესასწაულად გადაიქცა სახელოვანი იუბილე — გენიალური ქართველი პოეტის, მოაზროვნისა და ჰუმანისტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი.

მოსკოვში ძეგლის გახსნა თითქოს დამამთავრებელი აკორდი იყო იმ ზეიმებისა, რომლებიც მოეწყო უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პატივსაცემად. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობა.

პოეტის ძეგლი აღიმართა მოსკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალზე — „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე. ეს ადგილი შემთხვევით როდი შეარჩიეს. იგი თვით ისტორიით არის ნაკარნახევი.

„ბოლშაია გრუზინსკაიასა“ და მის მახლობლად მდებარე „მალაია გრუზინსკაიას“ ქუჩები მოგვაგონებენ ორი მოძმე ხალხის მეგობრობისა და ურთიერთგაგების სახელოვან ფურცელს. ეს ქუჩები ამ სახელს XVIII საუკუნიდან ატარებენ. 1725 წელს, საქართველოში თურქთა ჯარების შემოჭრის შემდეგ, მოსკოვში ჩავიდა საქართველოს მეფე ვახტანგ VI, რომელსაც ახლდნენ ორი ვაჟი ბაქარი და გიორგი, აგრეთვე თავადაზნაურთა და მდაბიოთა დიდი ამალა. ამალა სულ ცოტა სამი ათასი კაცისაგან შედგებოდა. რუსეთის მეფემ ვახტანგ VI აჩუქა თავისი ქალაქგარე სოფელი ვოსკრესენსკოე, რომელიც „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩის მიდამოებში მდებარეობდა. ქართული კოლონიისათვის სახლების ასაშენებლად გამოჰყვეს დიდი თანხა და საჭირო სამშენებლო მასალები. მალე მდინარე პრესნის ორივე ნაპირზე გაშენდა ქართული დაბები. ახლანდელი „გრუზინსკაიას“ მოედნის ადგილას აღიმართა საქართველოს მეფის სასახლე.

უკვე 1899 წელს „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩის მახლობელ ტერიტორიაზე ქართველთა 73 კომლი სახლობდა. მთელ ამ ადგილს, რომელიც ამ ქუჩასა და პრესნის შუა მდებარეობდა „გრუზინი“ ეწოდებოდა. ეს იყო საქართველოს პატარა კუთხე მოსკოვში. ძველი მატიანეები მოწმობენ, თუ როგორ შეუწყო ხელი მოსკოვში ქართულმა კოლონიამ საქართველოსა და რუსეთის კულტურულ და პოლიტიკურ დაახლოებას.

ქართულმა ქუჩებმა სახელწოდება დღევანდლამდე შეინარჩუნეს. რამდენიმე წლის წინათ გიორგის მოედანს, რომელიც ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა, „გრუზინსკაია“ ეწოდა. ამჟამად ძველი „გრუზინი“ ახლებურად ყღერს. ხოლო აქ აღმართული შოთა რუსთაველის ძეგლი თაობებს მოაგონებს ორი მოძმე ხალხის — რუსებისა და ქართველების მარადიულ მეგობრობას.

...დღის ოთხი საათია. „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩის სკვერში, სადაც აღმართულა თეთრი საბურველით დაფარული შოთა რუსთაველის ძეგლი, შეიკრიბა ჩვენი დედაქალაქის ათასობით მშრომელი — მწერლები, პოეტები, მხატვრები, მსახიობები, სტუდენტები, მოსკოვის საწარმოთა მუშები და მოსამსახურენი, მრავალი სტუმარი. საზეიმოდ მოურთავთ მოედანი, მწვანე სკვერში ჭარი აფრიალებს საბჭოთა კავშირის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებს. მონუმენტის გვერდით დგას ყვავილებით მორთული ტრიბუნა, რომელზედაც ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მჟავანაძე, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, თ. დ. კულაკოვი, გ. ნ. პონომარიოვი.

მათთან ერთად ტრიბუნაზე ადგილებს იკავებენ თვალსაჩინო საბჭოთა მწერლები, პოეტები, ხელოვნების მოღვაწენი, საქართველოს სსრ დელეგაციის წარმომადგენლები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ბ. სტურუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ს. სირაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ი. ნ. ვეკუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში ი. დ. ართმელაძე, ძეგლის მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ზ. ლეჟავა.

მიკროფონთან მიდის სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ბ. ეგორიჩევი, მან გახსნა მიტინგი და თქვა:

— ჩვენი ქვეყნის ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავენ საქართველოს დიდი შვილის, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის, უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

გმირული პათოსი, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეები, რომლებსაც უმღერა პოემაში რუსთაველმა, მახლობელია საბჭოთა ხალხის, დედამიწის თავისუფლებისმოყვარე ხალხების სულიერი სამყაროსათვის.

დღეს მოსკოველები შეიკრიბნენ აქ მიტინგზე, რომელიც დიდი ქართველი პოეტის ძეგლის გახსნას ეძღვნება.

მოსკოვში, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმა კიდევ უფრო განამტკიცებს და განავითარებს რუსი და ქართველი ხალხების ძმურ მეგობრობას, რომელსაც საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული ფესვები.

ნება მიბოძეთ ვთხოვო ჩვენს მიტინგზე დამსწრე მოძმე ქართველი ხალხის წარმომადგენლებს მოსკოვის უველა მშრომელის სახელით საქართველოს მშრომელებს გადასცენ, რომ მოსკოველებს გულწრფელად უხარიათ ქართველი ხალხის სახელოვანი წარმატებანი და უსურვებენ მათ ახალ, კიდევ დიდ გამარჯვებებს ნათელი მიზნის — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ამხ. ეგორიჩევმა დაამთავრა სიტყვა და სთხოვა მიტინგზე დამსწრე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს გაეხსნათ ქართველი ხალხის დიდი შვილის შოთა რუსთაველის ძეგლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ჩამოდის ტრიბუნიდან და უახლოვდება მონუმენტს. რუსულ და ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ბავშვებმა ამხანაგ ბრეჟნევს მაკრატელი გადასცეს.

მან გადაჭრა წითელი აბრეშუმის ლენტი. საზეიმოდ ყღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. მონუმენტიდან ნელნელა ჩამოცურდა თეთრი საბურველი. დამსწრეთა თვალწინ აღიმართა შოთა რუსთაველის ხუთმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც დგას წითელი გაპრიალებული გრანიტის ოთხკუთხა კვარცხლბეკზე. კვარცხლბეკის წინა მხარეს წარწერა აქვს:

შოთა რუსთაველს
— დიდ ქართველ პოეტსა და მოაზროვნეს

(დასასრული მე-4 გვერდზე).

უკვდავება

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო მოსკოვში სსრ კავშირის დიდ თეატრში

გარა ბევრი გვაქვს იმის მაგალითი, რომ პოეტის სახე შერწყმული ყოფილიყოს მისივე გმირის სახესთან. სწორედ ასეა ერთმანეთთან შესისხლხორცებული „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი — დიდი მესხი მელექსე. ყველას, ვისაც კი წუკვდავი პოემა, შოთა რუსთაველი წარმოუდგება ისევე როგორც ტრიელი — მამაცი, კეთილშობილი რაინდი, რომელიც ყოველთვის მზადაა საგმირო საქმეებისა და უანგარო მეგობრობისათვის.

თითქმის რვა საუკუნისაა ეს დიდებული პოემა. და რვა საუკუნეა იგი ასწავლის ხალხს სიკეთის სიყვარულს, ბოროტების სიძულვილს, მოაქვს ადამიანებისათვის მშვენიერების იდეალები. პოემა დღესაც თანამედროვედ ჟღერს, რადგანაც ყოველთვის თანამედროვეა მისი შემოქმედის ნათელი იდეები. ქართული პოეზიის მწვერვალი — პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ხანია მშვენიერების საზომად გადაიქცა მსოფლიო ხელოვნებაშიც. მრავალ ენაზე თარგმნილი პოემა ქვეყნებსა და კონტინენტებს მოედო და მილიონობით მკითხველს ანიჭებს სიხარულს.

25 ოქტომბერს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე შეიკრიბნენ ჩვენი სამშობლოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა წარმომადგენლები. სსრ კავშირის დიდ თეატრში თავი მოიყარეს ლიტერატორებმა, მეცნიერებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. სცენაზე, სადაც ქართველი მგოსნის უზარმაზარი პორტრეტია, ადგილებს იკავებენ მსოფლიო საიუბილეო კომიტეტის წევრები, მოსკოველი და ქართველი მწერლები, სტუმრები.

საზეიმო საღამოს დაესწრნენ **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი. დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მჟავანაძე, დ. თ. უსტინოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი.**

საზეიმო საღამოს დაესწრნენ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. გ. სტურუა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე**, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ი. ლოლაშვილი.**

საზეიმო სხდომის გახსნისას სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა **ნ. ს. ტიხონოვმა** თქვა:

— ჩვენი დღევანდელი საზეიმო კრება ეძღვნება დიდ, ღირსშესანიშნავ, მსოფლიო მნიშვნელობის თარიღს! ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დღესასწაულობს ქართველი ხალხის დიდი შვილის, დიდებული პოეტისა და მოაზროვნის, უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებით შოთა რუსთაველის იუბილე მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

საბჭოთა ხალხი სათუთად იცავს წარსულ საუკუნეთა მთელ შესანიშნავ მემკვიდრეობას. ჩვენთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა მიესალმება დიდი პოეტებისა და მოაზროვნეების მიღწევებს, აღნიშნავს ღირსახსოვარ დღეებს, რომლებიც ესოდენ უწყობენ ხელს ხალხთა მშვიდობიან ურთიერთგაგებასა და ურთიერთობას, მსოფლიო კულტურის შემდგომ განვითარებას.

„ვეფხისტყაოსანი“ მთელ კაცობრიობას ეკუთვნის. იგი უმღერის სამშობლოსადმი სიყვარულის უკვდავ გრძნობებს, ნამდვილ პატრიოტიზმს, ხალხთა ძმობას, გმირობას, გაბედულ, კეთილშობილ და ძლიერ ადამიანთა სიყვარულს, ერთგულებას, მეგობრობას.


შოთა რუსთაველის ხმა შორეული საუკუნეებიდან გაისმა როგორც მოწოდება მომავლისადმი.

XII საუკუნის ჰუმანისტის ეს ხმა დღეს უერთდება ბევრი ხალხის პოეტთა ხმას, რომლებიც მეგობრობასა და მშვიდობას ეძებენ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

შოთა რუსთაველმა, რომელიც აღსდგა თავისი საუკუნის შავბნელი კანონების წინააღმდეგ, გამოაცხადა ქალისა და კაცის თანასწორობა, სიყვარულისა და მეგობრობის, ცხოვრების სიხარულის, მშობლიური ქვეყნის ბედნიერების უფლება. მთელ მსოფლიოში აღინიშნება შოთა რუსთაველის იუბილე, მილიონობით კეთილი ნების ადამიანი მიესალმება მას, რადგან მადლიერნი არიან რუსთაველის ხალხთა იმ მეგობრობისათვის, რომელსაც უმღერა ასე შთაგონებით, ასე გულით!

რუსთაველის დღეებში პოეტის სამშობლოში შეიკრიბა ეგრეთ წოდებული მრგვალი მაგიდა, რომლის გარშემო საუბარში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ყველა კონტინენტის ასზე მეტმა პოეტმა და მწერალმა. ეს იყო მსოფლიო პოეზიის მაგიდა, რომელმაც განიხილა პოეტის, **დროის**, ხალხის ურთიერთობა.

(გაგრძელება მე-5 გვერდზე).



საზეიმო-საიუბილეო სხდომა მოსკოვში, სსრკ დიდ თეატრში

მსოფლიო პოეზიის გენია

(დასასრული)

კვარცხლბეკის გვერდით მხარეებზე წარწერილია რუსთაველის უკვდავი პოემის აფორიზმები:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება ალეხს ხელში პოეტური სიტყვის ეს მშვენიერი ძეგლი და არ ეგრძნოს მისი შთამაგონებელი ძალა!

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

აი იგი, ქართველი ხალხის დიდი შვილი დგას და ხელთ უპყრია თავისი ფასდაუდებელი ეტრატი. ღრმად ჩაფიქრებულა ფილოსოფოსი და მოაზროვნე, რომელმაც ჯერ კიდევ რენესანსის გარიჟრაჟზე უმღერა მეგობრობის, სიყვარულისა და ერთა ძმობის ჰუმანისტურ იდეებს.

მიტინგი გრძელდება. სიტყვა ეძლევა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მომწყობი სრულიად საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს ნ. ს. ტიხონოვს.

— დღეს დიდად აღფრთოვანებული ვართ! — თქვა მან. — დიდებული პოეზიის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ამ შესანიშნავ დღეს ჩვენს სახელოვან მოსკოვში გავხსენით დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის ძეგლი!

აი იგი — უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი, თვითონ წარმოსდგა დღეს ჩვენს წინაშე, როგორც მისი საყვარელი გმირები, სამართლიანობის დამცველნი, — რაინდის, ბოროტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლის სახით!

იგი, რომელმაც საუკუნეების წინათ უმღერა ჰუმანიზმის ნათელ იდეებს, საუკეთესო გრძნობებს, პროგრესული კაცობრიობის მუდმივ თანამგზავრთა რიცხვს მიეკუთვნება!

მისი დაბადების რვაასი წლისთავის აღსანიშნავად ზეიმი იმართება მთელ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, და ჩვენ უდიდეს სიხარულს გვანიჭებს იმის შეგნება, რომ სიყვარულის, ვაჟკაცობის, ერთგულების, ხალხთა მეგობრობის მეხოტბის ძეგლი ამიერიდან დაამშვენებს ჩვენს სახელოვან საყვარელ მოსკოვს!

შოთა რუსთაველის ძეგლი დღეს იმ ადგილას აღიმართა, სადაც განსაკუთრებით დაადასტურა დრომ ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის ერთობა. აქ თვით ადგილის სახელწოდება მოწმობს, რომ მოსკოვში ძველთაგანვე უცხოვრიათ ქართველებს.

აქ საუკუნეების წინ უკვე გაისმოდა შოთა რუსთაველის შაირი, აქ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ქართველი მეცნიერები და მწერლები. აქ შეადგინა ქართული სამეფოს აღწერა ცნობილმა ისტორიოგრაფმა ვახუშტიმ, აქ წერდა თავის ცნობილ იგავ-არაკებს სულხან-საბა ორბელიანი, აქ თხზავდა ლექსებს ქართველი, რუსი, უკრაინელი ხალხების მეგობრობის შესახებ შესანიშნავი პოეტი დავით გურამიშვილი.

დღეს კი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები მშობლიურ ენაზე კითხულობენ შოთა რუსთაველის ლექსებს და ჩვენთან ერთად მიესალმებიან კეთილ მეგობარ-პოეტს, როგორც თავის, მარად ახალგაზრდა თანამედროვეს! „ვინ მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“, — თქვა შოთა რუსთაველმა.

დღეს დიდ პოეტს მილიონობით მეგობარი ჰყავს, რადგან არ არის ისეთი კულტურული ადამიანი, რომელსაც თავის ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ აეღოს ხელში პოეტური სიტყვის ეს მშვენიერი ძეგლი და არ ეგრძნოს მისი შთამაგონებელი ძალა!

და დაე ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა, დიდმა ძმამ და თანამედროვემ შოთა რუსთაველმა მარად გვიმღეროს რუსი და ქართველი ხალხების ძმურ მეგობრობაზე და მისი ძეგლი იყოს მშვენიერი განსახიერება საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის, ყველა კეთილი ნების ადამიანის მეგობრობისა, რომლებიც მთელი კაცობრიობის მშვიდობიან განვითარებას ესწრაფვიან!

დედაქალაქის მშრომელთა სახელით დიდ ჰუმანისტ პოეტ შოთა რუსთაველზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის უფროსმა ოსტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ა. კოკოშკამ.

დღეს ჩვენ, დედაქალაქის მშრომელნი და სტუმრები, — თქვა მან, — შევიკრიბეთ დიდ ზეიმზე — საქართველოს დიდი პოეტის შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნაზე.

800 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსთაველი. გადიოდა დრო, საუკუნე საუკუნეს ცვლიდა, მაგრამ კაცობრიობამ არ დაივიწყა დიდი ხელოვანი და ჩვენს დღეებამდე მოიტანა მისი სახელი, უნებურად ფიქრობ დღეს, თუ რატომ არის ასე მახლობელი და გასაგები ჩვენთვის რუსთაველის პოეზია? უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მასში ასახულია ყველაზე ჰუმანური იდეები — მეგობრობისა და ძმობის, დიდი პატრიოტიზმისა და სამშობლოს უანგარო სამსახურის იდეები.

და, უნდა ითქვას, ჩვენს ქვეყანაში ვერ ნახავთ ისეთ ადამიანს, რომელმაც არ იცოდეს რუსთაველის სახელმოხვეჭილი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ — მსოფლიო კულტურის ეს ბრწყინვალე ძეგლი. ამ ნაწარმოების გმირები გამოირჩევიან სამშობლოს სიყვარულით, მის წინაშე მოვალეობის შეგნებით. ეს გასაგები და ძვირფასია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის.

ქართველ ხალხთან ერთად დიდი პოეტისა და მოაზროვნის 800 წლისთავს დღესასწაულობენ მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა. რუსთაველის იუბილე ეს არის ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობის, სოციალისტური კულტურის აყვავების მკაფიო დემონსტრაცია, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება. მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ადამიანები რუსთაველის პოემაში ხედავენ თავის სანუკვარ ოცნებებსა და გრძნობებს. და ახლა ერთიან მწყობრში, ახორციელებს რა ჩვენს ოცნებას, მთელი საბჭოთა ხალხი ერთად ეგებება თავის დიად დღესასწაულს — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს. თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ცდილობენ იღონონ უყველაფერი, რათა ეს დღესასწაული აღნიშნონ ახალი შრომითი წარმატებებით, ახალი საქმეებით, რომლებიც კიდევ უფრო გაზრდიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას და ხელს შეუწყობენ მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის შემდგომ აყვავებას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი სამგზის ორდენოსანი ლიხაჩოვის სახელობის ქარხანაც ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის დირსეული შეხვედრისათვის. ამჟამად ქარხანაში შრომობს 21 ათასი კომუნისტური შრომის დამკვრელი. მათ შორის არიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. მამებს ჩარხებთან მხარში უდგანან შვილები და შვილიშვილები. უფროსი ამხანაგები, კადრის მუშები, ხალისით უზიარებენ ცხოვრებისა და შრომითს გამოცდილებას ახალგაზრდობას, თავის ცვლას — მუშათა კლასის ახალ თაობას.

მთელი საბჭოთა ხალხი, აშენებს რა კომუნიზმს, ეყრდნობა უმდიდრეს გამოცდილებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხალხებს შეუძენიათ ისტორიული განვითარების პროცესში, სათუთად ინახავენ იმათ ხსოვნას, ვინც ძალღონე, ნიჭი, თავისი სიცოცხლე შეახმარა ხალხის სამსახურს, თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის, სამართლიანი სოციალური წყობილებისათვის ბრძოლას. იგი წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი და მზრუნველი დამცველია.

ჩვენ, მუშებს, ისევე როგორც მოსკოვის ყველა მშრომელს გვიხარია და ვამაყობთ, რომ აქ, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, დაიდგა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ძეგლი. დაე ეს ძეგლი საუკუნეებით იდგეს აქ, როგორც რუსი და ქართველი ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მარადიული მეგობრობის სიმბოლო და აგონებდეს ადამიანებს დიდ პოეტს, ფილოსოფოსს, მოაზროვნეს შოთა რუსთაველს!

მიტინგზე გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი აკადემიკოსი ი. აბაშიძე.

შოთა რუსთაველი, თქვა მან, ჩვენს დიად წინაპართა იმ პლეადას ეკუთვნის, რომლის სრულუფლებიან მემკვიდრეებადაც გამოვაცხადეთ ჩვენი თავი. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მათი ნათელი იდეებით ვამოწმებთ ჩვენს საქმეებს, რომლებიც ისტორიამ დაგვაკისრა დიდი ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე.

შოთა რუსთაველი ჩვენს დიად წინაპართა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელთა სახელს არა თუ მოწიწებით ვიხსენიებთ, არამედ თვალისჩინივით ვუფრთხილდებით, და შეძლებისდაგვარად ვამრავლებთ და ვამდიდრებთ ტრადიციებს.

შოთა რუსთაველი ჩვენს დიად წინაპართა და წინამორბედთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებიც დღესაც ჩვენს თანამედროვეებად მიგვაჩნია და ბრძოლასა და შრომაში ჩვენს გვერდით გვეგულებიან.

შოთა რუსთაველი ერთი იმათგანი იყო, ვინც შრავალი საუკუნის წინათ უმღერა კაცთმოყვარეობის, მეგობრობის, ერთობის, თავისუფლების ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, რომელთა დამკვიდრებისათვის აი უკვე ნახევარი საუკუნეა ვიბრძვით.

შოთა რუსთაველი ერთი იმათგანი იყო, ვინც გვასწავლიდა, რომ ადამიანმა ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს, სანამ კეთილი საბოლოოდ არ სძლევს ბოროტს.

რვა საუკუნე, რვაასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი, ჩვენგან მრავალი ისტორიული კატაკლიზმით, ურთულესი ეპოქებით დაცილებული ცხოვრობდა ჩვენს პლანეტაზე. მაგრამ წარსული ეპოქებიდან არც ერთთან არ ყოფილა იგი ისე ახლოს, როგორც ჩვენს ეპოქასთან. როცა ცხოვრების პრაქტიკულ ამოცანებს შორის წამოიჭრა საკითხი იმ დიდი და ამაღლებული იდეალების განხორციელებისა, რომლებზეც ოცნებობდა რუსთაველი და მასთან ერთად კაცობრიობის ბევრი საუკეთესო წარმომადგენელი.

სწორედ ამიტომ ვამბობთ ამაყად, რომ რუსთაველი ჩვენთანაა, ჩვენს გვერდით, ჩვენთან ერთად, ჩვენს მხარდამხარ ბრძოლასა და შრომაში. ჩვენი საქმეების განხორციელებისას მხოლოდ დიდი პოეტის წმინდა იდეალებით როდი ვხელმძღვანელობთ — ისინი გვეხმარებიან ჩვენი ისტორიული მისიის შესრულებაში, ჩვენი ოცნების, ჩვენი იდეალების განხორციელებაში.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ არც ერთ სხვა ეპოქას არ გაუკეთებია იმდენი რამ, რამდენიც ჩვენმა გააკეთა, რათა ღირსეულად დაეფასებინა რუსთაველის სიდიადე, და ეს ბუნებრივია და კანონზომიერია. ჩვენ შარავანდედით შევმოსეთ რუსთაველის სახელი და მთელ მსოფლიოს გავაცანით იგი სწორედ დიდი ოქტომბრის შემდეგ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსთაველის ძეგლის გახსნა ჩვენი დიდი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში დაემთხვა ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათ წლისთავს, და რომ ეს დიდებული ძეგლი აღიმართა რუსეთის მიწა-წყალზე, მის შუაგულში, თხუთმეტივე რესპუბლიკის საერთო და ერთიანი სამშობლოს დედაქალაქში, ქალაქში, სადაც ცხოვრობდა და მარად იცოცხლებს ახალი სამყაროს ფუძემდებელი და მაუწყებელი — დიდი ლენინი.

ეს იმ ადამიანის ძეგლია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა უმღერა ხალხთა მეგობრობასა და ძმობას. ეს იმ ადამიანის ძეგლია, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა უმღერა ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის იდეებს. ეს ძეგლი მადლიერი შთამომავლობის ხარკია დედამიწაზე ყველა ადამიანის თანასწორობის დიდი მეხოტბისადმი.

მიტინგი დამთავრდა. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

მონუმენტს ამკობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ მოსკოვის ხალქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის ხალქალაქო საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, დედაქალაქის მშრომელთა გვირგვინებით.

შოთა რუსთაველის ძეგლი აიგო ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკის მ. ბერძენიშვილისა და მოსკოველი არქიტექტორის ი. ლოვეიკოს პროექტით.

ქართველმა ერმა „ვეფხისტყაოსანს“ შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩააცვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი უკეთესი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი.

ილია ჭავჭავაძე.

შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო — იგივე „ვეფხისტყაოსანი“. ასე რომ არ იყოს, ქართველებს ხომ ასეთი სიყვარულიც არ ექნებოდათ შოთასი...

ამ დიდი სიყვარულის მოსვენება კი მხოლოდ დიდს ადამიანს, გენიოსს შეუძლია, რომელიც ღვიძლი შვილია თავისი ერისა, მისი სულის, და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი.

ვაჟა-ფშაველა.

საბჭოს ხმა

№ 18-19, ოქტომბერი, 1966 წ.

უკვდავება

(გაგრძელება).

იუგოსლავმა პოეტმა მათეი ბორმა სწორად თქვა სახალხო ზეიმის დღეებზე, რომლის მოწმეც თვითონ იყო: „რა კარგია, რომ საიუბილეო ზეიმის ორგანიზატორებს აზრად მოუვიდათ დაეკავშირებინათ ეს დღეები დიდ სჯა-ბაასთან იმის თაობაზე, თუ როგორია პოეტისა და პოეზიის ადგილი თანამედროვე მსოფლიოში. ბედნიერი აზრია! ბედნიერია იმიტომ, რომ ჩვენ შევძელით აქ, საქართველოს გულში, რუსთაველის წინაშე შეგვემოწმებინა ჩვენი პოეტური სინდისი. გფიქრობ, რომ მე ვლაპარაკობ არა მარტო ჩემი სახელით, არამედ ამ აღმაფრთოვანებელ დღეთა ყველა დამსწრის სახელით".

საიუბილეო ზეიმის მონაწილე პოეტები, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ აქ, გახდებიან მოციქულნი, რომელნიც ყველა ქვეყანას მოჰფენენ პოეტურ ამბავს, იმის შესახებ, რაც საკუთარი თვალით ნახეს, იმაზე, თუ როგორ სცემს თაყვანს ხალხი თავის პოეტს, როგორ ცოცხლობს ლეჩსი საუკუნეთა განმავლობაში და კი არ კვდება, არამედ ეძლევა ახალი შინაარსი, იმის შესახებ, თუ როგორ ემსახურებიან პოეტი და დრო ზოგად საკაცობრიო კულტურას, მომავალს.

პოემა „ვეფხისტყაოსანი" თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე, მსოფლიოს ხალხთა ბევრ ენაზე. მისი გმირები სახალხო გმირებად გადაიქცნენ, მისი ლეჩსები ხალხში გაიფანტა ანდაზებად, აფორიზმებად, პოემა აისახა ხელოვნების ყველა დარგში: ფერწერაში, გრაფიკაში, ქანდაკებაში, მუსიკაში, სცენაზე, ხალხურ თქმულებებში, სიმღერებში. სულ ახლახან შეიქმნა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ისეთი დიდი ნაწარმოებები, როგორიც არის ირაკლი აბაშიძის შესანიშნავი პოემა „რუსთაველის ნაკვალევზე" და ოთარ თაქთაქიშვილის ბრწყინვალე ორატორია.

შოთა რუსთაველის სახალხო დღესასწაული მსოფლიო მნიშვნელობის დიდ მოვლენად გადაიქცა და საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ყველა მხარეში ფართოდ აისახა, იმიტომ, რომ ჩვენი სამშობლოს ხალხებს აქვთ ერთი მიზანი, ერთი მისწრაფება და ერთმანეთისადმი გამსჭვალული არიან დიდი მეგობრული გრძნობებით, რომლებსაც ვერაფერი ვერ შეარყევს.

საქართველოში, რომელიც ახლა სოციალისტური კულტურის აყვავების გზას ადგას, ახალი საუკუნის ბრწყინვალე მიღწევათა ჟამს, მთელმა ხალხმა, ყველამ — პარტიისა და მთავრობის უმაღლესმა ხელმძღვანელებმა თუ რიგითმა მშრომელებმა, დიდი პოეტის დღესასწაული ისეთ სიმაღლეზე აიყვანეს, რომ ყველამ, ვინც ამ ზეიმში მონაწილეობდა, თან წაიღო დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი და უდიდეს მადლობას იხდის გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც თვითონ განიცადა ყოველმა სტუმარმა, რა შორეული ქვეყნიდანაც უნდა იყოს.

დიახ, შოთა რუსთაველმა შეაღო თითოეული სახლის კარი, როგორც ძვირფასმა სტუმარმა, იგი ცხოვრობდა ბუნებრივი ცხოვრებით, როგორც ძველი მეგობარი, როგორც მარად ახალგაზრდა თანამედროვე. მუდამ მზად იყო სიყვარულისა და მეგობრობისათვის.

ჩვენ დავეწაფეთ ხალხური პოეზიის ანკარა წყაროს...

გულითადად გაისმოდა თბილისში ჩამოსული პოეტებისა და ყველა რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების წევრების სიტყვები. ისინი, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებიდან მოყოლებული, გულითადად მიესალმებოდნენ თავიანთ ქართველ მეგობრებს, მოჰქონდათ კეთილი ნიშათი და ხარობდნენ საერთო სიხარულით. დღეს გავხსენით მოსკოვში შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც დიდებულად გადმოსცემს პოეზიის დიდი რაინდის სახეს, ბოროტებისა და ძალადობის წინააღმდეგ ომში. შარი მებრძოლის სახეს. ძეგლი დიდგა იმ ადგილას, სადაც ისტორიამ დაადასტურა ჩვენი ძველი მეგობრობა, სადაც მოსკოველ მეგობართა შორის ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ საქართველოს გამოჩენილი შვილები. დე ეს ძეგლი მარად გვახსენებდეს რუსი და ქართველი ხალხების ძმურ მეგობრობას, იყოს მშვენიერი სიმბოლო საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, ყველა კუთილ ნების ადამიანის მეგობრობისა, რომლებიც მთელი კაცობრიობის მშვიდობიან განვითარებას ესწრაფვიან. ჩვენი დროის გმირებს, მოსკოვის სახელოვან მშრომელებს, რომლებმაც შრომაშიც და ბრძოლებშიც გამოიჩინეს თავი გმირობით, ძმურად შეუძლიათ ხელი ჩამოართვან შოთა რუსთაველის რაინდებსა და ყველაზე მძლავრ პოეტს. მან უმღერა:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად"

„ვეფხისტყაოსანი" ხოტბაა სიყვარულისა და მამაცობისა, რომელმაც გაუძლო საუკუნეებს და მისი შემქმნელი კაცობრიობის ერთ-ერთი მარადიული თანამგზავრი გახდა. მისი პოემის გმირები — ინდოელი ტარიელი, არაბი ავთანდილი და მულღაზანზარელი ფრიდონი მშადნაფიცები გახდნენ, მათი სახეები დღევანდელ ადამიანებს მოაგონებენ ისეთ საოცარ და უშრეტ ძალას, როგორიცაა ხალხთა მეგობრობა.

დღეს, როცა ჩვენს პლანეტაზე სიმშვიდე არ არის და მშვიდობას საფრთხე მოელის იმპერიალისტთა მხრივ, ერთობა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აკავშირებს ხალხებს და აამაღლებს წინააღმდეგობისა და ბრძოლის სულს იქ, სადაც გაჩაღებულია სისხლისმღვრელი ომი. ასე მოისხენია მებრძოლი გმირი ვეტნამიდან ჩამოსულმა სტუმარმა, პოეტმა ტე ლან ვიენმა შოთა რუსთაველი. იგი, თქვა მან, ჩვენი თანამედროვეა, იგი მხარში უდგას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს, რადგან, თქვა ვიეტნამელმა პოეტმა, „დღეს თანამედროვე ეპოქის ვიეტნამელები მარტონი როდი ვებრძვით აგრესორებს: ჩვენ ზურგს გვიმაგრებს ჩვენი ოთხი ათასი წლის ისტორია. ჩვენ მხარში გვიდგანან წარსულ საუკუნეთა გმირები..."

შოთა რუსთაველი დღეს მხარში გვიდგას. იგი იმათ შორისაა, ვინც მოძავალს უმღერის, ვინც იცავს მსოფლიო პროგრესსა და კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან კულტურას შავბნელი ძალების ახალი მუქარისაგან.

შოთა რუსთაველის გენია რვა საუკუნის წინათ იშვა მშობლიური ქვეყნის კულტურის უდიდესი აყვავების ხანაში და ხალხმა იგი დღემდე გულით ატარა საუკუნეთა ძნელბედობასა და ქარცეცხლში.

და ეს პოეზიის შუქურა, სიკეთისა და სიმართლის ჩირაღდანი ჩაიბარა განათლებულმა მსოფლიომ, რათა მომავალ თაობებს გადასცეს სინათლისა და სითბოს მარადიული წყაროს ჩაუქრობელი ლამპარი!

დაე იგი გზას უნათებდეს ახალ-ახალ თაობებს და ისინიც, ისევე როგორც ჩვენ, მადლიერად იმეორებდნენ სახელოვან უკვდავ სახელს: შოთა რუსთაველს!


სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ პოეტმა აკადემიკოსმა **ი. აბაშიძემ.** ჯერ კიდევ არ დამცხრალა ტაში, რომელიც ამ დარბაზში ქუხდა დიდი ესპანელი მწერლის სერვანტესის პატივსაცემად, თქვა მან, — და აი დღეს ჩვენს წინაშე სცენაზეა ზოგადსაკაცობრიო კულტურის მეორე წარმომადგენლის, დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის სახე.

აქ არ არის არავითარი სიმბოლიკა, ყველაფერი ნათლადაა ნათქვამი: უკვდავი მომღერლის დასავლელი რაინდის დონ-კიხოტის იუბილეს მოყვა აღმოსავლელი რაინდის, უკვდავი მომღერლის იუბილე, ერთმანეთს მოჰყვა იუბილეები ორი უკვდავი მაოსნისა, რომლებიც ეძებდნენ ადამიანისა და ადამიანურობის იდეალებს კონკრეტულ სახეებში: ერთი — უმწეო, მაგრამ ადამიანური ღირსებით აღსავსე, ამაყად მოხეტიალე ლამანჩელ რაინდში, მეორე — ძლევამოსილ, მაგრამ მკაცრი ბედის გამო მდუღარე ცრემლით დადაგულ ტარიელში. ისინი ადამიანს, ადამიანურობის იდეალს ეძებდნენ ბორტებასთან ბრძოლის ეკლიან გზაზე. ამ რაინდთა სახეები უკვდავი ჰიმნია ადამიანისა, ადამიანურობის იდეალისა, ისინი მოგვიწოდებენ ადამიანის ღირსებისათვის, მისი თავისუფლებისათვის, მის ღირსებათა ცნობისათვის საბრძოლველად.

ბევრი რამ არის საერთო ამ ორ, საუკუნეებით ერთმანეთისაგან დაშორებულ, ერთი შეხედვით სრულიად სხვადასხვა გენიებს შორის. დიდი სურვილი მაქვს განვაგრძო ეს საუბარი, მაგრამ შეიძლება ჩამოგვაშოროს ჩვენს პირდაპირ შიზანს.

ორი საღამოს მოწყობა ამ დარბაზში თეატრის მშვენიერი ტრადიციის

(დასასრული მე-6-7 გვერდებზე).



მოსკოვი. დიდი თეატრის დარბაზში შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო სხდომის დროს.

უკვდავება

(დასასრული).

გაგრძელება და გამდიდრებაა, იმ ტრადიციისა, რომელიც დამყარდა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე და, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ადამიანების დამოკიდებულებას მსოფლიო კულტურის კორიფეებისადმი. ამ თვალსაზრისით დიდი თეატრის დარბაზი ყველაზე სახელოვანია ჩვენი პლანეტის ყველა დარბაზს შორის. უდიდეს სიხარულს მანიჭებს, ძვირფასო მოსკოველი მეგობრებო, ჩემთა თანამოკალმენო, სიტყვა წარმოვთქვა თქვენს წინაშე საუბილეო საღამოზე წარსულის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანის — დიდი პოეტისა და ჰუმანისტის შოთა რუსთაველის პატივსაცემად. ამასთან ერთად არ შემიძლია სინანული არ გამოვთქვა იმის გამო, რომ ჩვენს კონტინენტზე აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც უნაყოფოდ და მავნედაც კი მიიჩნიეს ხალხისათვის წარსულის ძვირფასი საგანძური, კულტურის დიდებული მიღწევები, და ახლა, ჩვენი XX საუკუნის სამოციან წლებში თავიანთი ავბედითი ლოზუნგით „გაგავონ ოთხი სიძველე (ძველი კულტურა, ძველი, ზნე-ჩვეულებანი, ძველი ადათები, ძველი ჩვეულებები)“, გვაიძულებენ მოვიგონოთ ინკვიზიციის დრონი. ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ, როცა ხელყოფენ კაცობრიობის მიერ შექმნილ საგანძურს, ისინი ხელყოფენ ადამიანს, დიახ, ადამიანს.

ამ ტრიბუნიდან ვლაპარაკობ პოეტზე, რომელმაც შუასაუკუნეების უკუნეთ წყვდიადში ადამიანი აიყვანა ყველაზე მაღალ კვარცხლბეკზე, დაიცვა და განადიდა იგი, უმღერა ადამიანის გონების განთავისუფლებას და მზარში ამოუდგა ჩვენს ეპოქას. მინდა ვილაპარაკო პოეტზე, რომელსაც სწამდა, რომ მარადიულია მხოლოდ სიკეთე, რომ ბოროტებას დღენი არ უწერია: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

მაგრამ იგივე რუსთაველი გვასწავლის, რომ კაცს კაცობა მაშინ ეთქმის, როცა მთელი თავისი არსებით უპირისპირდება ბოროტებას (და არ იცის დაცხრომა მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსთაველის ეპოქის საქართველო ჰუმანიზმის პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფო იყო. მის კულტურას განსაზღვრავდნენ ჰუმანისტური იდეალები და მისწრაფებანი. გავიხსენოთ რომ ლაპარაკია მეტად შორეულ წარსულზე — XII საუკუნეზე, როცა ახლანდელი ევროპის ქვეყნების უმრავლესობა ჯერ კიდევ მეტად შორს იყო თავისი განვითარების მწვერვალებისაგან.

ამგვარი სახელმწიფოს შექმნას წინ უძღოდა განუხრელი ალმაცერობის საქმეო ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნას, თითქოს ძალები, რომლებიც რუსთაველის წინაპერიოდის ქართულ კულტურას ქმნიდნენ, ჩქარობდნენ აღემართათ ამ კულტურის დიდებული ნაგებობის კედლები, რათა რუსთაველს მოესწრო დაეგვირგვინებინა იგი სულ რამდენიმე ათეული წლით ადრე იმ საბედისწერო კატასტროფამდე, რომელიც XIII საუკუნის ოციანი წლების დამლევს დაატყდა თავს საქართველოს!

ლაპარაკია საქართველოში კულტურული მშენებლობის გასაოცარ ინტენსივობაზე და მჩქეფარე შემოქმედებაზე. ყოველ შემთხვევაში ის, რისი გაკეთებაც საქართველომ მოასწრო გაქრისტიანების შემდეგ IV-XIII საუკუნების მანძილზე განუწყვეტელი თავდაცვითი ომების პირობებში და დაღუპვის გამუდმებული საფრთხის დროს, გაცილებით უფრო ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს მოითხოვდა.

ინტენსიურმა კულტურულმა საქმიანობამ ქართველი ერის ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროო მოიცვა. ეს თანაბრად ეხება როგორც განათლების დარგს, ისე სხვადასხვა სახეობასა და ჟანრის ხელოვნებას, ფილოსოფიურ, ისტორიულ, მეცნიერულ მოღვაწეობას, და განსაკუთრებით, მხატვრულ ლიტერატურას.

იმდროინდელი ქართული ლიტერატურისათვის შემთხვევითი როდი იყო, რომ ღრმად და ზედმიწევნით სწავლობდნენ არისტოტელესა და პლატონის შრომებს, და ბოლოს, ის რომ V საუკუნეში სასულიერო ლიტერატურის ნიადაგზე აღმოცენდა დიდადგანვითარებული მხატვრული ლიტერატურა, საერო ლიტერატურა, რომელიც უმდიდრესი ლიტერატურული ენის საფუძველზე იქმნებოდა.

XII საუკუნის ქართული კულტურა გამოირჩეოდა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით. საქართველოში იყო ორი აკადემია — გელათისა და იყალთოსი, რომლებშიც შესწავლები იღებდნენ უნივერსალურ განათლებას, თვით ეს აკადემიები კი მეცნიერულ-ფილოსოფიური აზრის დიდ ცენტრებს წარმოადგენდნენ. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედებდნენ ქართული კულტურის დიდი ქერები.

რუსთაველის აზრით, სამყარო იმისათვის როდია შექმნილი, რომ ბოროტების სასუფეველად გადაიქცეს. ეს ლამაზი ქვეყანა შემოქმედმა შექმნა ადამიანებისათვის, სწორედ ადამიანებისათვის. ადამიანი ხომ ღვთის ნაწილია. უადამიანოდ წარმოუდგენელია სამყაროს ერთიანობა და მთლიანობა, სწორედ ადამიანმა უნდა შერწყას ერთმთლიანად ეს სოფელი და უზენაესი.

ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი და მთავარი ფილოსოფიური იდეა. მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი იშვიათი ნაწარმოებია, რომელიც მარტო ერთი თვალსაზრისით როდი აკვთხება. პოემის არქიტექტონიკა მეტად რთულია და, ფიქრობთ, როგორც რენესანსის ეპოქის დადგომის მომასწავებელი მოტივებით, ისე მრავალაზრიანობის თვალსაზრისით, „ვინმე მესხი მელექსე“ და ფლორენციელი დანტე, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეხევარი აშორებთ ერთმანეთს, მეტად ახლო დგანან.

მაგრამ ახლა ეს როდია მთავარი. ის, რომ ესოდენ რთული აგებულებისა და გააზრების ნაწარმოებს უჩვეულოდ ბევრი მკითხველი ეწაფება. „ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეთა მანძილზე ერთნაირად ახლობელი და ძვირფასი იყო ხალხის ყველა ფენის წარმომადგენლებისათვის და ყველა პოეტობდა პოემაში იმას, რაც სწორედ მისთვის იყო ძვირფასი და ახლობელი.

რით გვხიბლავს ეს პოემა ჩვენ — მილიონობით საბჭოთა მკითხველს, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებს, რომლებიც ერთ დიად ძმურ ოჯახად ვცხოვრობთ, რით შეუძლია. მას მოხიბლოს ჩვენი საზღვარგარეთელი თანამოაზრე მეგობრები, რომლებიც აგერიგვე მილიონობით არიან?

ეს არის რუსთაველის უჭკნობი ჰუმანიზმი, ჰარმონიულად მშვენიერი ადამიანის, მისი გონების სიდიადისა და გრძნობათა სიწმინდის ქებათა-ქება — მებრძოლი ადამიანის უკვდავი ჰიმნი.

რუსთაველი გვასწავლის, რომ ამ წუთისოფელში ყველაზე ძვირფასია ადამიანი, და რომ იგი უნდა იყოს მშვენიერი და სრულყოფილი — მშვენიერი უნდა იყოს მისი სხეული, სული, გონება, გრძნობები და საქმენი. ადამიანი მოწოდებულია, მაშასადამე მოვალეც არის გამოიმუშაოს ისეთი ნებისყოფა, რომ მხოლოდ მაღალი მიზნებისაკენ წარმართავდეს თავის ფიქრებსა და მოქმედებას! მაგრამ მთავარი, რასაც რუსთაველი გვასწავლის, ის არის, რომ ადამიანის ნამდვილ სიდიადეს ვერაფერს არგებს პასიური მჭვრეტელობითი ჰუმანიზმი, ბოროტების ძალების დასათრგუნავად საჭიროა აქტივობა და აქტივობა, დაუცხრომელი საქმიანობა. მხოლოდ ამნაირად შეძლებს ადამიანი შაებნელი ძალების დამარცხებას და ისეთი სამყაროს აშენებას, რომელშიც ხორცს შეისხამენ ჰუმანიზმის უმაღლესი და უკეთილშობილესი იდეალები.

სად არის ის გზა, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ამ ჰარმონიულობისა და აქტივობისაკენ? რა აიძულებს მას ესწრაფვოდეს უმაღლეს იდეალს? ეს არის გონების, სიბრძნის შეცნობა გაცისკროვნებული ამაღლებული საყვარულისა და მეგობრობის გრძნობები. ეს გრძნობებია ადამიანური ბის საფუძველი, სწორედ ისინი წარმოშობენ სტომულებს, რომლებსაც ყოფიერების უმაღლესი მიზნისაკენ მიჰყავს იგი.

და აი ჩვენს წინაშეა ამ გრძნობათა მჭონე სახეები — რუსთაველის უკვდავი პოემის გმირები. და ეს საყვარული, ეს უკეთილშობილესი მეგობრობა ამდენად მშვენიერია, ამდენად ამაღლებულია, რომ თითქმის მთელი მსოფლიო აღსდგა შეყვარებულთა და მეგობართა დასახმარებლად, რადგან სიბრძნის შეცნობა გაცისკროვნებული საყვარულისა და მეგობრობის ეს ზეიმი მიაჩნია თავისი არსებობის იდეალად მთელ კაცობრიობას. მაშ რა შეაჩერებს ადამიანს, რომელიც ამ უმაღლესი იდეალებისაკენ მიილტვის? ბოროტების ისეთი ავბედითი სიმბოლოც კი, როგორიც ჭაჭეთის ციხეა, ვერ გაუძლებს ძმადნაფიც მეგობართა ძალას, სიყვარულის ყოვლად ძლიერ გრძნობას.

აი რა უმშვენიერესად ეხმიანება „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენს დროს, ძნელ და მაინც მშვენიერ, დიად ეპოქას, როცა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებიან ერთმანეთს პროგრესის, მაღალი ადამიანური იდეალების დამკვიდრებისათვის მებრძოლი ძალები და, ადამიანის ღირსების გამთელავი, ბოროტი ძალები.

და ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ კეთილი უცილობლად დაამარცხებს ბოროტებას: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ადამიანურობის იდეალები დაძლევენ ბნელეთის ძალებს. მაგრამ ჩვენ კარგად გვიცის ისიც, რომ გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია მარტოოდენ კეთილი სურვილებით, გამარჯვება მოითხოვს აქტივობას, უცხრომელ ბრძოლას ბოროტების წინააღმდეგ.

აი რას მოგვაგონებს დღეს რუსთაველი, აი რატომ გადაიქცა მისი იუბილე მშვიდობისა და პროგრესის ძალების დემონსტრაციად.

რუსთაველი იმასაც მოგვაგონებს, რომ მარტოდ მარტო ვერავინ შეებრძოლება ბოროტებას. დიდებული პოემის სამი გმირი — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი სამი სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები არიან. სწორედ სხვადასხვა ხალხის ამ შვილების უმაგალითო მეგობრობამ შესაძლებლად აქცია შეუძლებელი. ეს უნდა გვახსოვდეს, როცა ვლაპარაკობთ კაცობრიობის მაღალი იდეალების დამკვიდრებაზე.

კაცობრიობის მაღალი იდეალები!.. განა ბუნებრივი არ არის მივსდიოთ ამ იდეალებს ახლა, ადამიანის აზრის აღმავლობის ეპოქაში. და მაინც რა სიძნელეების გადალახვა უხდება ადამიანს, რომ დაიცვას თავისი ადამიანური ღირსება. მაგრამ უკვე მარტო აღარ არის იგი — ტარიელი. მის დახმარებლად გაერთიანდნენ სიყვარულისა და მეგობრობის უკვდავი გრძნობით შეკავშირებული პროგრესისა და მშვიდობის ძალები. მას ეხმაურება კაცობრიობის არა მარტო აწმყო, არამედ მთელი კულტურული წარსულიც. კაცობრიობამ წარმოშვა ბევრი მოაზროვნე, რომელთაც რუსთაველივით უმაღლეს კვარცხლბეკზე აჰყავდათ ადამიანი — ადამიანი, რომელიც ებრძვის ბოროტებას და ამარცხებს, ადამიანი, რომელსაც სწამს უსაზღვრო სიკეთე, იდეალური ადამიანი, ანუ როგორც ჩვენი მაქსიმ გორკი იტყოდა „შეშმარიტი ადამიანი...“ ეს არის სამყაროს არსებობის უმაღლესი აზრი.

მამ გაუმარჯოს შეშმარიტ ადამიანს!

გაუმარჯოს გონებით გაცისკროვნებულ სიყვარულსა და მეგობრობას!

უკრაინელმა პოეტმა, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელმა, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა ნ. პ. ბაჟანმა თქვა:

— შვიდ საუკუნეზე მეტია ქართველი ხალხი გულით ატარებდა თავისი სულის, თავისი კულტურის, თავისი პოეზიის ყველაზე დიდ სათაყვანო საუნჯეს, იცავდა მას მძარცველებისა და მოსპობისაგან, დამცირებისა და დაღუპვისაგან. და აი ახლა თავისუფალ სოციალისტურ საქართველოს მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ზოგადსაკაცობრიო კულტურაში — ქართული სიტყვის მარად ჩაუქრობელი ლამპარი, მშვენიერი და ვაჟკაცური პოემა ადამიანთა მეგობრობასა და სიყვარულზე, გმირობაზე, რომელთაც სწამთ ნათელი მომავალი, იბრძვიან მისთვის და ამარცხებენ ჩაგვრის, თარეშის, ძალმომრეობის შავბნელ ძალებს. მომავლის ეს რწმენა, ბედნიერების რწმენა, ადამიანის რწმენა უძველეს ქართულ პოემას მშობლიურს, მახლობელს, ჭმედთს ხდის კაცობრიობის იმ ავანგარდისათვის, რომელმაც 50 წლის წინათ უმაგალითო ლაშქრობა დაიწყო თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის და მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. ამიტომ არის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მილიონობით ეგზემპლარი ხელიდან ხელში გადადის მთელ მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხეში, ამიტომ არის, რომ ყველგან ჩვენს ქვეყანაში უყვართ, თაყვანს სცემენ და კითხულობენ იმ ადამიანის ლექსებს, რომელიც დიდი ხნის წინათ დაიბადა, რათა არარ მომკვდარიყო, რათა ცოცხლად დარჩენილიყო ცოცხალთა შორის, იმ ადამიანისა, რომელიც გვერდში უდგას კაცობრიობის ისეთ გენიოსებს, როგორიც იყვნენ ესქილე და დანტე, კალიდასი და შექსპირი, ნიზამი და ნავოი, პუშკინი, შევჩენკო და მიცკევიჩი, ან რაინისი და გორკი.

კომუნიზმი უბრუნებს ხალხს წართმეული კულტურის საგანძურებს. კომუნიზმი უნერგავს ხალხებს ამაყ შეგნებას, რომ ისინი არიან წარსული კულტურის ყველა დიადი და მშვენიერი მიღწევის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრენი.

საბჭოთა ხევი

№ 18-19 ოქტომბერი, 1966 წ.

კვიდრენი, დამცველნი. ასე გვასწავლიდა, ასე გვასწავლის ლენინი.

ამიტომ არის, რომ ლენინური მოძღვრებისათვის უცხო და მტრულია ცოფმორეული მოწოდებანი უარყონ, დაანგრიონ, გაანადგურონ კაცობრიობის დიადი მემკვიდრეობა. ასევე გაბედულად და თანმიმდევრულად იბრძვის ლენინური მოძღვრება იმის წინააღმდეგ, რომ ხალხები და მათი კულტურები რასობრივად დაყონ სრულფასოვან და არასრულფასოვან, ისტორიულ და არაისტორიულ, დიდ და პატარა ხალხებად და კულტურებად.

მაღალ, ჰუმანისტურ აზრს ანიჭებენ საბჭოთა ხალხები თავიანთი კულტურის დღესასწაულს და საქართველოს გენიალური პოეტის დაბადების 800 წლისთავის დღევანდელი დღესასწაული, ეს არის ხალხთა მეგობრობისა და მათი კულტურების მეგობრობის დღესასწაული. ეს არის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფალი და თანასწორი ერების ერთმანეთისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოვლინება, ეს არის მისწრაფება კიდევ უფრო ღრმად შეიცნონ და გამდიდრდნენ მოძმე ხალხების კულტურის საუკეთესო ქმნილებებით. საბჭოთა ადამიანების, საბჭოთა ხალხების ეს გრძნობები შთაგონებდა იმ საბჭოთა პოეტებს, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს რუსთაველის მშვენიერი, თავისი მხატვრული საშუალებებით განუზომლად მდიდარი პოემის თარგმნის ძნელ საქმეს.

რუსეთის სფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა უაბარდო-ბალყარეთის პოეტმა **კ. უულიევმა** თავის გამოსვლაში თქვა: — ამ მაღალ ტრიბუნაზე გამოვდივარ იმ მთიელთა სახელით, რომლებიც ცხოვრობენ იალბუზისა და მყინვარწვერის მწვერვალებით გაცისკროვნებულ ცენტრალურ კავკასიონზე, სადაც კლდეზე მიაჯაჭვეს, მაგრამ ვერ დაამარცხეს პრომეთე. მინდა ამ ზეიმზე მთიელთა, ბალყარელთა და ყაბარდოელთა, ჩეჩენთა და ინგუშთა, ოსთა და ადიღთა, ყარაჩაელთა და ჩერქეზთა ხმა შევუერთო ყველა ხალხის ხმას, რომლებიც დღეს ადიდებენ დიდ კავკასიელს — რუსთაველს.

ბრძენია მხოლოდ ის, ვისაც შეუძლია ისწავლოს ქვეყნად ყველასა და ყველაფრისაგან, ვინც ამ ქვეყნიდან წასულთ პატივს არა სცემს, ის პატივს ვერ სცემს — ვერც ცოცხლებს. დაე დიად შემოქმედთა საუკეთესო ქმნილებების მტრები, ყველა ჯურის ბარბაროსები დღეს ჩაფიქრდნენ ამას. დაე ისინი რუსთაველის მაგალითმა, რომლის ზმა რვაასი წელია გაისმის ცოცხალთა შორის, დაარწმუნოს, რომ კულტურა, პოეზია, შემოქმედება ისევე უკვდავია, როგორც მიწა და ვაზი.

ჩვენ ვისწავლობდით ქართველი პოეტისაგან მამაცობას, რომელიც ჰაერივით გვჭირდებოდა. მისი პოემა ხოტბას ასხამს მამაცობას ისევე, როგორც სიყვარულსა და მეგობრობას, იგი სილამაზის სადიდებელი ჰიმნია, ვაჟკაცობა და სოფლის სილამაზე მუდამ საჭირო იქნება ხალხისათვის როგორც პური და წყალი. ამიტომ დღეს ვამბობთ: რა მშვენიერია ხელოვნების ეს ნამდვილი ქმნილებანი, რა კარგია, რომ ასეთი მარადიულნი არიან, რა ბედნიერებაა, რომ ადამიანს შეუძლია შექმნას ამგვარი რამ. ამასთან ერთად კიდევ ვრწმუნდებით რუსთაველის მაგალითით, ისევე როგორც ესქილესა და პუშკინის, დანტესა და რემბრანდტის მაგალითით, რომ რაც უნდა ძნელი დაბრკოლებანი აღიმართოს, რაც უნდა ძნელი იყოს ბრძოლები, სულ ერთია საბოლოოდ გამარჯვება მაინც ცოცხალსა და მშვენიერს, შემოქმედებას რჩება, ისევე როგორც გაიმარჯვეს გალილეომ და ლენინმა, ბეთჰოვენმა და ლევ ტოლსტოიმ.

სიბრძნე და სამართლიანობა, ნიჭი და ულრეკობა უძლეველია, როგორც გათხიდი. აი რას გვასწავლის რუსთაველი, ისევე როგორც მიცკევიჩი და შევჩენკო, გორკი და გარსია ლორკა. უკვდავია ხელოვნების მხოლოდ ის ნაწარმოები, რომელიც უმღერის გონებასა და სამართლიანობას, ადამიანურობასა და თავისუფლებას, ის ნაწარმოებები, რომლებშიც ამქვეყნიური ჭირიც არის და ლხინიც, ის ნაწარმოებები, რომლებიც ადიდებენ მამაცობასა და კაცთმოყვარეობას. ამას ადასტურებს შოთა რუსთაველის საქვეყნოდ სახელგანთქმული პოემის ხვედრიც. სანამ ამ ხვედრს ეწეოდა, ამ სახელმოხვეჭილმა პოემამ მრავალი უბედურება გამოიარა, მეტისმეტად დრამატული იყო საქართველოს ბედ-იღბალი, საქართველოში მარტო წითელი ვარდი, ჭარვისფერი ყურძენი და სისხლისფერი შვინდი როდი ხარობდა, არამედ სისხლში ამოსვრილი უამრავი მახვილიც ელავდა. მაგრამ მაინც ვარდი და ყურძენი, აზრი და პოეზია უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ, ვიდრე ყველა უგუნურის მახვილი. დიადი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გადარჩენა სამართლიანობის გამარჯვება, ხალხის ოცნების, მისი სინდისის, მისი გულის ძლიერების გამარჯვებაა. ამის შეგნება რუსთაველის მშვენიერ დღესასწაულს კიდევ უფრო დიდ შარავანდედს მატებს. დაე მარად ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს უძლეველი, ადამიანებისა და ხალხების გამაერთიანებელი კულტურის ძალა, მისი მარად ახალი, ახალგაზრდა, შემოქმედი რევოლუციური ძალა, დაე სულ უფრო ღვივდებოდეს პოემის პრომეთეს ჩაუქრობელი ცეცხლი. დიდება ადამიანის ვაჟკაცობასა და სიყვარულს — უშრეტ ამქვეყნიურ მადლს. მთელ ამ მიწიერ სილამაზეს შეახსნა ხოტბა რუსთაველმა თავის დიად სიმღერაში. მან უმღერა მარად მწვანე სამყაროს.

ტრიბუნაზეა სომეხი პოეტი **სილვა კაპუტიკიანი.** იგი თავის გამოსვლას უძღვნის ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მეგობრობას.

— როგორ დავატიო ამ მოკლე გამოსვლაში, — თქვა პოეტმა ქალმა, — ყველა მეგობრული სიტყვა, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში იშვა. როგორ დავატიო რამდენიმე ფურცელზე საუკუნეები, რომლებმაც დაახლოვეს ქართველი და სომეხი ხალხები ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის ერთად ბრძოლაში. სწორედ ჩვენი ორი ხალხის საერთო ბედი, მათი სულიერი სიახლოვე მაძლევს უფლებას ვთქვა, რომ ქართველი ერის დღესასწაულს, მის სიხარულს შოთა რუსთაველის იუბილეს გამო იზიარებს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, და უწინარეს ყოვლისა სომეხი ხალხი.

— მესხი მელექსე, — თქვა მან დასასრულს, — გასცდა მშობლიური საქართველოს საზღვრებს. მან გააკეთა ის, რის გაკეთებაც ვერ შეძლო ბევრმა მეფემ და ხელმწიფემ, — მან თითქმის მთელი მსოფლიო დაიპყრო. რუსთაველის პოეზიამ მილიონობით ადამიანის გული მოინადირა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა პოლონელ პოეტ-მთარგმნელს **ეჟი ზ. გურსკის.** სტუმარმა ამ დარბაზში შეკრებილი პოეტები და მეცნიერები შეადარა რაინდებს, რომლებმაც თავი რუსთაველის პოეზიას მიუძღვნეს.

— ვერ დავიკვეხნი, რომ საუკეთესო საბჭოთა მთარგმნელებს ვაჯობებ, — თქვა მან, — მე პოლონურ ენაზე ლექსად ვთარგმნე მხოლოდ ნაწილი „ვეფხისტყაოსნისა“. ახლა უკვდავი პოემის ნახევარი უკვე თარგმნილი მაქვს და ორ-სამ წელიწადში სულ დავამთავრებ. ჯერჯერობით შოთა რუსთაველის მრგვალი მაგიდის არასრულფასოვანი რაინდი ვარ. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ამ მაგიდასთან მოხვეტიალე რაინდისათვისაც მოიძებნება ადგილი.

— ძნელია დაიპყრო კავკასიონის პოეტური მწვერვალი, — მაჯნებარედ თქვა ეჟი ზაგურსკიმ. — მაგრამ ამ ძნელ გზაზე მე მივბაძავ საბჭოთა მთარგმნელებს, რომელთა შესანიშნავი შრომა ყოველთვის აღმაფრთოვანებს.

საზეიმო საღამოზე სულ ბოლოს გამოვიდა ცნობილი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე **ირაკლი ანდრონიკაშვილი.**

მსოფლიო ლიტერატურაში, — თქვა მან, — ძნელად თუ მოიძებნება სხვა პოემა, რომელსაც ასე კარგად იცნობდნენ თავის ქვეყანაში და ასეთი უმაგალითო როლი შეესრულებინოს თავისი ერის ისტორიაში, ასეთი გავლენა მოეხდინოს ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ასე შეედუღაბებინოს ხალხის სულიერი ძალები, აღეფრთოვანებინოს იგი თავისუფლებისათვის საბრძოლველად მრავალი საუკუნის მანძილზე.

რა სასწაულმოქმედი უნდა იყოს „ვეფხისტყაოსანი“, თუ იგი ახლა, რვა საუკუნის შემდეგ, ყველა ქართველს ესმის. რუსთაველმა შექმნა ქართული ლიტერატურული ენა, განსაზღვრა ლიტერატურის ძირითადი მიმართულება. სწორედ რუსთაველის შემდეგაა, რომ ქართველი პოეტები უწინარეს ყოვლისა უმღერიან ადამიანს, ხოტბას ასხამენ ცხოვრების ამაღლებულ იდეალებს. ქართველი პოეტები განაგრძობენ რუსთაველის დიად ტრადიციებს, მასთან ეზიარებიან ლექსის კულტურას.

ქართულ ლიტერატურას დასაბამი მისცა დიდებულმა „ვეფხისტყაოსანმა“, რომელსაც მართლაც რომ დიადი ბედი ჰქონდა.

ეს წიგნი სულ მალე ჰეშმარიტად ხალხური გახდა, რადგანაც ხალხთან ერთად გამოიარა მთელი ქარტეხილი, რომელიც საქართველოს დაატყდა თავს. წმინდათა წმინდა ავგაროზივით სათუთად ინახავდა პოემას ხალხი. პოემის ყველა ფურცელი რომ დამწვარიყო, მაინც შემოინახავდა ხალხის მეხსიერება.

— 1917 წლამდე „ვეფხისტყაოსანს“ ძირითადად ქართველები კითხულობდნენ, — თქვა ირაკლი ანდრონიკაშვილმა, რუსეთში მის შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით თუ იცნობდნენ. და სიმბოლურია, რომ მისი პირველი თარგმანი რუსულ ენაზე რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. ნახევარი საუკუნეც კი არ გასულა და რუსთაველის პოემას მთელი მსოფლიო იცნობს. აი რატომ ეხმარება პოეტის ეს იუბილე ჩვენი სახელმწიფოს მომავალ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

საზეიმო კრების დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ხელოვნების ოსტატები.


რუსთაველის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები

დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკურმა კომიტეტმა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის საპატიო წოდებები მიანიჭა:

ნიკოლოზ პლატონის-ძე ბაშანს „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმნისათვის და პოეტ ნიკოლოზ სიმონის-ძე ტიხონოვს საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებისათვის.



ნ. პ. ბაშანი.



ნ. ს. ტიხონოვი.

შოთას სიხე

სვანური გალადა

თამარი სვანეთს წაბრძანდა,
თამამი, მუდამ ქველიო,
თამარი სვანეთს წაბრძანდა,
თან ახლდა რუსთაველიო.
თამარმა სვანებს უბრძანა:
„გაფიცებთ ჩემსა თავსაო,
კოშკი ამიგეთ, ემსგავსოს
თეთრი თეთნულდის მთასაო.
შოთაის სახელს ვუწოდებ,
შოთაის სულის დგმასაო!“
სვანებმა კოშკი ააგეს,
ჰგავდა თეთნულდის მთასაო,
წიგ ტახტი ჰქონდა სიყვარულს,
ქეობას და სამართალსაო.
დღისით მზე, ღამით ვარსკვლავი
დასცმიციმებდა თავსაო.
სად აზიდულა ეს კოშკი —
მიწიდან ცათამდისაო!
შიგ თათბირი აქვთ ტარიელს,
ფრიდონს და ავთანდილსაო:
„წავიდეთ, მთები დავლახოთ,
ვითომ ვართ სამნი ძმანიო,
ვიპოვნოთ, ჯაჭვი დავლეწოთ,
დავიხსნათ ამირანიო.
სადღაც ქვაბშია დაბმული
და გმინავს დღე და ღამეო,
დავიხსნათ, ტანჯულ ქვეყანას
იქნებ ეშველოს რამეო.
ბილიკზე შედგა მერანი,
შოთამ სადავე მოწია:
„იხსენით, ჩემო გმირებო,
თქვენი სისხლი და ხორცია!“
ოქვა და სადავე მიუშვა,
გაფრინდა, ვითა ქარიო...
ქაჯეთს შფოთავენ ქაჯები,
ქვაბში — დეკეს გვარიო,
ამირან ძილში შეირხა,
შეირყა მთა და ბარიო:
„ვაი შენ, შავო ვეშაპო,
გმირებმა მომცეს მხარიო!“
ზუნტარის ტინი რომ ნახოთ,
გაკვირვებული დარჩებით:
ფრიალო კედელს მიჰყვება
ცხენის ფლოქვების ნაცემი —
შოთაის მერნის ნატერფალს
იტყვიან ბეჭიკაცები.

აკაკი გელოვანი.

სულიერი



დიდი მგოსნისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის სახე და მისი პოემა ყოველთვის იყო შთაგონების უშრეტი წყარო ქართველი მხატვრებისათვის.

სურათზე: შოთა რუსთაველის ახალი გრაფიკული პორტრეტი, რომლის ავტორია მხატვარი გოგი თოთიბაძე.

ქართველმა ხალხმა მთელ კულტურულ კაცობრიობასთან ერთად ზეიმით აღნიშნა უდიდესი ქართველი პოეტის, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძნათობის — შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავი.

ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრი რამ შესძინა მსოფლიო კულტურის საგანძურს. ჩვენი ხალხის დიდმა შემოქმედებითმა ენერგიამ ხუროთმოძღვრების, მხატვრობისა და ლიტერატურის ბევრი სწორუპოვარი ძეგლი შექმნა.

მაგრამ ქართველი ერის სულიერი სილამაზე და კეთილშობილება, მისი აზროვნების სიღრმე და გაქანება ყველაზე უკეთ და სრულიად შთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშია“ გამოხატული.

რვა საუკუნის წინ უდიდესი ქართველი პოეტის მიერ დაწერილი პოემა ქართული ლიტერატურის უმაღლეს მწვერვალად და მსოფლიო პოეზიის გვირგვინის უმშვენიერეს თვალად იქცა.

რუსთაველის ცხოვრება და შემოქმედება ფეოდალური საქართველოს „ოქროს ხანასთან“ — დიდი თამარ მეფის ეპოქასთანაა დაკავშირებული. იმდროინდელი საქართველო დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო. ეკონომიურ აღორძინებას კულტურის განვითარებაც მოჰყვა. აშენდა მრავალი ტაძარი და სასახლე, შეიქმნა ქართული ხუროთმოძღვრების უკვდავი ძეგლები, გელათსა და იყალთოში დაარსდა აკადემიები, სადაც ქართველი ფილოსოფოსები მოღვაწეობდნენ.

ქართულ მწერლობას იმ დროს უკვე კარგა ხნის ისტორია ჰქონდა, მაგრამ სწორედ მე-12 საუკუნეში მიაღწია არნახულ აყვავებას.

მრავალი ძეგლი იმდროინდელი ჩვენი მწერლობისა უცხოელ დამპყრობთა შემოსევების შედეგად სამუდამოდ დაიღუპა ცეცხლსა და ნგრევაში, მაგრამ ის, რაც გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია, მოწმობს, რომ XII საუკუნის საქართველოს დიდი და მდიდარი მწერლობა ჰქონია.

რუსთაველის პოემა სიბრძნის წყაროა. პოეტი სხარტი, მოხდენილი აფორიზმებით გამოთქვამს ცხოვრების დიდ სიბრძნეს. ქართველმა ხალხმა ეს აფორიზმები შეიყვარა და ყოველდღიურად მოსახმარ ანდაზებად აქცია.

შოთა რუსთაველი მეგობრობას და ხალხთა ძმობას უმღერის. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები სხვადასხვა ერის შვილები არიან. მაგრამ დაბრკოლებების გადალახვაში, მტერზე გამარჯვებაში სწორედ ის უძლეველი ძალა ეხმარებათ, რომელსაც მეგობრობა ჰქვია.

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, — ამბობს რუსთაველი და მისი ეს ბრძნული ნათქვამი დღესაც გზას უნათებს ჩვენს ხალხს.

რუსთაველი უმღერის მაღალ, წმინდა ზნეობას. მიჯნურობა, ანუ სიყვარული, რომელსაც რუსთაველი ქება-დიდებას ასხამს, წმინდა და ადამიანის ამამაღლებელი გრძნობაა.

რუსთაველმა ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ხანაში თქვა:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“.

იმ დროისათვის ეს აზრი მეტად გაბედული და პროგრესული იყო, ისევე როგორც ქალისა და კაცის თანასწორობის აღიარება:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

რუსთაველი იმ დროისათვის მოწინავე იდეებს ქადაგებდა, ადამიანის ამამაღლებელ გრძნობებს უმღეროდა და ამქვეყნიური ცხოვრების სილამაზესა და სიკეთეს აქებდა. ამიტომ იყო იგი ჰუმანისტი და თავისი დროის მოწინავე მოაზროვნე.

გრიგოლ აბაშიძე.

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი.

რუსთაველის ნაკვალევზე

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია

ვინ იცის, როგორ მელის ვარძია...
რა დიდ ფიქრშია,
რა მწველ დარდზეა;
როგორ აძგერდნენ სამცხეს ქედები...
ვინ იცის,
როგორ მელის ვარძია!

როგორ მელიან თმოგვის კედლები, —
უთქმელ ღაღადით,
უთქმელ ვედრებით
როგორ ამღერდნენ
მაღალ ღმერთისთვის...
როგორ მელიან თმოგვის კედლები.

ვინ იცის, როგორ მელის
ხერთვისი...
იმ ძველ მოძღვრისთვის,
იმ ძველ მხედრისთვის
სიცოცხლეს მხოლოდ ერთი აზრი აქვს...
ვინ იცის,
როგორ მელის ხერთვისი!
ნამი,
რომელიც ველის ვარდზეა...
ვინ იცის,
როგორ მელის ვარძია!...

ხმა სამრეკლოსთან

„— შენ გეაჯები,
შენს ვედრებას,
გულით ნათმენი,
სად წამოსული
მონა შენი,
მონა ყარიბი:
არ დაუკეტო საქართველოს
პონტის კარები,
არ მომიკვეთო
შენ ჯვარს
მიწა, შენით ნათელი.
რად მეჩვენება
უამი ჭირთა მოახლოების,
რისხვა განგების,
შემოწყრომა მაღალ სამართლის.
რატომ ჩანს შავად
უსაზღვრობა აღმოსავლეთის.
რად მესმის გლოვა
შორი ქართლის სამრეკლოების.
რად მესიზმრება
ხმალი, ტარში გადამსხვრეული,
ტანჯვა, გოდება,
ბედშავობა, ცრემლი მალული,
რად დამდევს ლანდად
ბედწამხდარი ჩემი მამული,
მამული, შენს ჯვარს მოწყვეტილი
და დამწყვდეული.
აკმარე ჭირი,
მტრის მონობა,
სპარსი, არაბი;
აშორე ცრემლი,
ურჯულობა,
წარღვნა, ქარაფი;
შენ გევედრები,
შენს დიდ გზაზედ
ლოცვით მარები:
არ დაუკეტო საქართველოს
პონტის კარები“.

შოთას სადიდებლად

1965 წლის 22 ნოემბერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, 1966 წელს მსოფლიო მასშტაბით აღენიშნათ შოთა რუსთაველის დაბადების თარიღი.

1937 წელს, რუსთაველის მაშინდელი იუბილეს დღეებში, ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟმა დაამზადა საიუბილეო მედალი — რუსთაველის პორტრეტი. მედალი კვადრატულია, მასზე გამოსახულია დიდი პოეტის პროფილი. მხატვარ ს. ქობულაძის ესკიზით იგი შეასრულა ლენინგრადელმა ოსტატმა გერასიმოვმა.

800 წლისთავისადვის შეიქმნა ახალი საიუბილეო მედალი.

პულკოვოს (ლენინგრადის ოლქი) ასტრონომიული ობსერვატორიის მუშაკებმა პლანეტათა შემსწავლელი საერთაშორისო ბიუროს თანხმობით რუსთაველის სახელი უწოდეს ახალაღმოჩენილ პლანეტას.

1938 წლის მაისიდან მცირე პლანეტათა სიაში აღინიშნა პლანეტა „რუსთაველი“.

თბილისის მთავარ ქუჩას, უწინდელ გოლოვინის პროსპექტს, რუსთაველის სახელი მიენიჭა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე. ამ საქმის ერთ-ერთი თაოსანი იყო პაოლო იაშვილი.

საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით 1937 წელს მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტთათვის დაწესდა რუსთაველის სახელობის ხუთი სტიპენდია.

1937 წელს, საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის თხოვნით, მოსკოვის საბჭომ დედაქალაქის ერთერთ მთავარ ქუჩას უწოდა რუსთაველის სახელი.

1936 წელს საბჭოთა ფილატელისტთა ასოციაციის წინადადებით გამოუშვეს საფოსტო მარკა „რუსთაველი“. მარკების ესკიზები შეასრულა მხატვარმა ს. მაისაშვილმა. საფოსტო მარკა რუსთაველის სურათით დამზადდა ახალდელი იუბილესთვისაც.

1937 წელს ნეაპოლში გამოვიდა საფოსტო ქაღალდი შოთა რუსთაველის პორტრეტით.

რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატებია: პოეტი ირაკლი აბაშიძე (კრებული „პალესტინა, პალესტინა“), მწერალი კონსტანტინე გამსახურდია (რომანისათვის „დავით აღმაშენებელი“), მხატვარი ლადო გუდიაშვილი (უკანასკნელი ორი წლის ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებებისათვის), მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი (ქანდაკებისათვის „ქართველის დედა“).

წინა იუბილეს პერიოდში ნეაპოლის აღმოსავლეთის ინსტიტუტმა დააწესა სპეციალური პრემია შოთა რუსთაველის შესახებ საუკეთესო თხზულებისათვის.

1965 წელს სერგი წულაძის მიერ ფრანგულ ენაზე ლექსად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ საფრანგეთის აკადემიამ მიიჩნია 1965 წლის ყველაზე უკეთეს თარგმანად და ლანგლუას პრემია მიანიჭა.

„ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნისათვის ჰუგო ჰუპერტს მიენიჭა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია.

პირველი ევროპელი მეცნიერი, რომელიც დაინტერესდა რუსთაველით, იყო მარი ბროსე. მანვე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად 1828 წელს. ესაა პოემის პირველი თარგმანი უცხოურ ენაზე.

1937 წელს ჩატარდა კონკურსი რუსთაველის ძეგლის პროექტზე.

კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ მოქანდაკეები: ი. ნიკოლაძე, კ. მერაბიშვილი, ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე და ლ. გრიგოლია.

1937 წლის 28 აგვისტოს საიუბილეო კომიტეტმა პირველი ჯილდო მიაკუთვნა პროექტს — „პოეზია“ (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი).

კ. მერაბიშვილის მიერ შესრულებული ძეგლი დაიდგა 1938 წელს. ძეგლის მასალად გამოიყენეს ბოლნისის, სადახლოსა და წნელისის მარმარილო და გრანიტი.

„ვეფხისტყაოსნის“ გასაცნიურება პირველად სცადა გოდერძი ფირალიშვილმა 1805 წელს. მან დაწერა ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „იდღეთის მემკვიდრე ანუ სამშობლოს სიყვარული“. პიესის ხელნაწერი დაკარგულია. 1853 წელს ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა ოქროპირ ბაგრატიონმა. ორივე ტრაგედია დაიდგა რუსეთში.

„ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში პირველად გაასცენიურა გიორგი ერისთავმა 1851 წელს. კოტე მესხმა თავის საბენეფისოდ დაწერა სამმოქმედებიანი პიესა „რუსთაველი“, რომელიც 1890 წლიდან 30 წლის განმავლობაში იდგმებოდა სცენაზე.

ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“ პირველად დადგა მიხაი ზიჩიმ 1881 წელს თბილისში. 1882 წელს — ქუთაისში, 1888 წელს პროფესორმა ოგაორიამ — პეტერბურგში; ამავე წელს მხატვარმა ფილიპოვიჩმა დადგა თბილისში, თედორ სოლოგუბმა — 1889 წელს მოსკოვში, პროფესორმა კლოდტმა— 1891 წელს მოსკოვში.

ცოცხალი სურათები დადგეს 1892 წელს ბაქოში. 1901 წელს — იურიევში, 1903 წელს — ხარკოვში, 1903 წელს — ვლადიკავკაზში. 1910 წელს — ხარბინში. ცოცხალ სურათებს „ვეფხისტყაოსნიდან“ აჩვენებდნენ ლაიფციგში, ბრიუსელში.

რუსთაველის პოემის სიუჟეტზე თუ ცალკეული ეპიზოდების თემატიკაზე, მის სტროფებსა თუ აფორიზმებზე შექმნეს მუსიკალური ნაწარმოებები;

ოპერა — ლ. ფალიაშვილმა, შ. მშველიძემ, დ. არაყიშვილმა;

ბალეტი — ი. გოკიელმა, იპოლიტოვ-ივანოვმა;

ვოკალური ნაწარმოებები — ა. ბალანჩივაძემ, ნ. სულხანიშვილმა, თ. შაგერ-ზაშვილმა, გრ. ცოკელაძემ, დ. ალიანოვმა, უმრ-შატამ;

სიმფონია — ა. ანდრიაშვილმა, ა. მაჭავარიანმა, ბ. კვერნაძემ.

ორატორია — რ. გაბიჩვაძემ, ა. ჩიმაკაძემ. ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ (ი. აბაშიძის ლექსების საფუძველზე) შექმნა ო. თაქთაქიშვილმა.

საბუნდო ნაწარმოებები — ვ. ცაგარეიშვილმა, ვ. კურტიდმა.

ლაკარაკოგენ შოთას სტუმრებს

ალფრედ კურელა,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

რუსთაველი და საქართველო ჩემთვის განუყოფელი ცნებებია. ქართულ მიწაზე მე ვიგრძენი, თუ რატომ არის რუსთაველი ასე გასაოცარი და დიდი. მე ვიცნობ ევროპის ეპიკურ ნაწარმოებებს, არც ერთი მათგანი არ ასულა „ვეფხისტყაოსნის“ სიმაღლეზე. დატყვევებული ვარ ამ უკვდავი ნაწარმოების პოეტური ჩუქურთმებით, ფილოსოფიური სიღრმით, დიდი ჰუმანურობით.

როცა ბნელით მოცული ევროპის ხჭოლასტიკური სამყარო ახშობდა უველაფერს ჰუმანურსა და მიწიერს, საქართველოში ადრეული აღორძინების კარიბჭესთან ამეტყველდა უკვდავი პოეტური შედევრი „ვეფხისტყაოსანი“.

მიყვარს საქართველო. ფეხით დამივლია ხევსურეთი და სვანეთი. მოვცებდი მთების ქარაფებზე აღმართული მონასტრები და ციხე-კოშკები. მოწიწებით შევყურებდით ქართველი დიდოსტატების ხელქმნილ ხატებსა და ჯვრებს, ხელადებსა და ფიალებს. არასოდეს არ დამავიწყდება სვანეთში ლაფხწყლის ოთხთავის ხელნაწერები, მდუმარე სვანური კოშკები, ხევსურული ხატობა, მოხუცი სვანი მეგზური, რომელიც სიჭაბუკეს ნატრობდა და მზეს შესტრფოდა, „აილამაზე“ გაცნობილი ქართველი მთამსვლელები, აქ ყველგან დიდი შოთას ნატერფალს ვხედავ. მისი ლექსი, მისი სიბრძნე ამ უკვდავმა ქვეყანამ თავისი წიაღიდან შობა. მე მიყვარს რუსთაველის სამშობლო და სიხარულით მოვისწრაფოდი თქვენკენ...

იან ბრაუნი,
ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის დოცენტი

ვარშავის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ვასწავლი ქართულ ენას და საერთოდ კავკასიურ ენებს. ვეწევი მთარგმნელობით მუშაობას. უკვე ნათარგმნი მაქვს ნ. ბარათაშვილის „მერანი“, ა. წერეთლის „სულიკო“, გ. ლეონიძის რამდენიმე ლექსი. ვთარგმნე ქართული ხალხური სიტყვიერებიდან რამდენიმე საუკეთესო ზღაპარი, ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ხუთი არაკი.

პოლონური დიდი ენციკლოპედიისათვის, რომელიც 8 ტომად გამოდის ჩვენში, მოვამზადე მასალები ქართული ენის, დამწერლობისა და ლიტერატურის შესახებ.

რუსთაველის საიუბილეოდ რედაქტირება გავუკეთე ზაგურსკის მიერ თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“. ჩვენ უშუალოდ დედანზე ვმუშაობდით და ვცდილობდით მიგვეახლოებინა თარგმანი დედნისათვის. პოემა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის თარგმნილი, ზოგიერთი ნაწილი პროზად არის შესრულებული, მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კვლავ გავაგრძელოთ მუშაობა „ვეფხისტყაოსანზე“ და პოლონურ მკითხველებს მივცეთ ამ გენიალური ნაწარმოების სრული თარგმანი.

დიდი სიხარულით მივიღე მოწვევა იუბილეზე. ამით საშუალება მომეცა კვლავ ჩამოვსულიყავი თბილისში, კვლავ შევხვედროდი ჩემს ქართველ კოლეგებს, ჩემს მასწავლებლებს. მე ხომ აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ვსწავლობდი და აქვე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია.




ბაზომის ამ ნომერში ჩვენი მკითხველები გაეცნობიან საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს, მიძღვნილს „ვეფხისტყაოსნისადმი“. მოუთმენელი სიხარულით ელოდა გიორგი ლეონიძე რუსთაველის იუბილეს, მაგრამ ვაი, რომ „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“

შოთას იუბილეზე ჩამოსულთა შორის ბევრი გიორგი ლეონიძის მეგობარი იყო. მათ მთაწმინდის პანთეონში ყვავილებით შეამკეს თანამოკალმის საფლავი...

სურათზე: ცნობილი საბჭოთა პოეტები (მარჯვნიდან) — ნ. ტიხონოვი, ა. სურკოვი და მ. ბაჟანი გ. ლეონიძის საფლავთან.

◆ ქართული პოეზიის დეკადა ◆ სამეცნიერო სესია ◆ კონცერტი კრემლის ურილოგათა სასახლეში

ზეიმი მოსკოვში



მოსკოვში საიუბილეო-საზეიმო დღეს წინ უძღოდა ქართული პოეზიისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში, ლენინგრადსა და რიაზანში. დიდ ლიტერატურულ საღამოებსა და კონცერტებში, ცხადია, მონაწილეობდნენ ქართველი პოეტები და ხელოვნების მოღვაწეები. პირველი დიდი საღამო 13 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

საქართველოს წარგზავნილები სასურველი სტუმრები იყვნენ ყველგან, სადაც კი მათ უხდებოდათ ყოფნა, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქნებოდა ეს თუ დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების კულტურის სახლები, **ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“** რედაქცია თუ პოლიტექნიკური მუზეუმის ლექტორიუმი...

განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრები გაიმართა სერგეი ესენინის მშობლიურ ქალაქ რიაზანის მშრომელებთან. ქართველი პოეტები იყვნენ პოეტის სოფელ კონსტანტინოვოში, ესტუმრნენ მის დას ალექსანდრა ესენინას, რომელიც აქ პოეტის სახლმუზეუმს განაგებს.

ორ დღეს ეღერდა ქართული ლექსის მუსიკა ლენინის გმირ ქალაქშიც. ლენინგრადელებმა დიდი გულითადობით უმასპინძლეს შოთა რუსთაველის შემოქმედებითი ტრადიციების მემკვიდრეებს.

ლენინგრადიდან ქართველი პოეტები ისევ მოსკოვში დაბრუნდნენ. აქ მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საგანგებო სამეცნიერო სესია.

დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის, მისი უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ხოტბა იყო საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, რომელიც 26 ოქტომბერს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობდნენ ქართული სცენის საუკეთესო ოსტატები.

კონცერტის დირიჟორები იყვნენ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები **ჯ. კახიძე** და **ჯ. გოკიელი,** რეჟისორები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გ. ქართველიშვილი** და **ჯ. ანჯაფარიძე,** მხატვრული ხელმძღვანელი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ი. თუმანიშვილი.**

ხალხის სიყვარული

დღეს „ვეფხისტყაოსანს“ თავის მშობლიურ ენაზე კითხულობს 36 ეროვნების ადამიანი. მისი სრული თუ ნაწილობრივი თარგმანებია საბჭოთა კავშირის ხალხთა უმრავლეს ენაზე: რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ, ტაჯიკურ, ყირგიზულ, თურქმენულ, თათრულ, ბაშკირულ, ძველ და ახალ ებრაულ, ჩუვაშურ, ლაკურ, ესტონურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

„ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, უნგრულ, რუმინულ, ჩეხურ, ჩინურ, სპარსულ, იტალიურ, იაპონურ, ესპანურ ენებზე. იქმნება ლათინური, ბულგარული და ბერძნული თარგმანები.

მთარგმნელთა შორის არიან მეცნიერები: პროფესორი შალვა ნუცუბიძე (რუსული), პროფესორი იარომირ იედლიჩკა (ჩეხური), აკადემიკოსი ნიკო მარი (რუსული, პროზაული), აკადემიკოსი ბელა ვიკარი (უნგრული).

ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი — შოთა ლიტერატურაში პირველად გვხვდება მეფე თეიმურაზის (XVII საუკ.) პოეტურ ნაწარმოებში „იოსებ ზილიხანიანში“, „...ესენი შოთა რუსთაველმან შეამკო არსთა მკობითა“.

„ვეფხისტყაოსანი“ პირველად დაიბეჭდა ვახტანგ მეექვსის დროს, 1712 წელს. მას შემდეგ პოემა გამოიცა 46-ჯერ. საიუბილეოდ გამოვიდა კიდევ 5 გამოცემა.

„ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის აკადემიური გამოცემის ტექსტის დამდგენ კომისიაში შედიოდნენ: იონა მეუნარგია, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო დადიანი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, თედო ჟორდანია, ილია წინამძღვრიშვილი, სერგი მესხი, ივანე მაჩაბელი, დავით ერისთავი და სხვა გამოჩენილი პირები.

კომისიის სხდომები მიმდინარეობდა საადგილმამულო ბანკის შენობაში (1881-1888 წლებში). გამოცემისათვის საჭირო ხარჯები (12.000 მანეთი) გაიღო გიორგი ქართველიშვილმა.

რუსთაველის გენიალურ ქმნილებას რუს საზოგადოებაში ფართო აუდიტორია მოუპოვა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის რუსულ ენაზე პირველმა მთარგმნელმა კონსტანტინე ბალმონტმა. 1915-1917 წლებში რუსეთის 20-მდე ქალაქში იგი კითხულობდა პოემის ნაწყვეტებს. ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი 1933 წელს, პარიზში, თავისი სახსრებით გამოსცა.

ჩვენს ხელთ არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის უძველესად ითვლება 1963 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი. იგი ფრაგმენტულია. პროფ. ი. აბულაძემ, პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, იგი XVI საუკუნეს მიაკუთვნა.

დღეისათვის „ვეფხისტყაოსნის“ 100-ზე მეტი ხელნაწერი გვაქვს. ისინი, ძირითადში, შესრულებულია მწერლობის მოყვარულთა მიერ. რუსთაველის პოემის გადამწერნი ხრიან: მამია თავაქარაშვილი (1646 წ.), იოსებ ტფილელი (1663 წ.), დავით რექტორი (1782 წ.), პეტრე ლარაძე (1827 წ.), პეტრე ტაბლიაშვილი (XVIII ს.), როსპაა გეპულაძე (1833 წ.) და სხვანი.

„ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ილუსტრატორთაგან პირველია მამუკა თავაქარაშვილი. მას ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის ბრძანებით გადაუწერია და 39 სურათით შეუმკია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი 1646 წელს. მასვე აქვს შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტიც.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ილუსტრატორთაგანია რუსეთის მეფის კარის მხატვარი, უნგრელი მიხაი ალეშანდრეს ძე ზიჩი.

ზიჩის სურათები დაიბეჭდა 1887 წელს ლაიფციგში, 1888 წელს კი დაერთო გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“.

„ვეფხისტყაოსნის“ ქართველი დამსურათებლებია: მამუკა თავაქარაშვილი, ივანე ავალიშვილი, ლადო გუდიაშვილი, თამარ აბაკელია, ირაკლი თოიძე, სერგო ჭობულაძე, უჩა ჯაფარიძე, ლევან ცუცქირიძე, სევერიან მაისაშვილი, ნათელა იანქოშვილი...

პირველი მინიატურა შოთა რუსთაველის გამოსახულებით ახლავს XVI საუკუნის ხელნაწერს და შესრულებულია უცნობი მხატვრის მიერ. მოყვარულმა მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა იგი მოათავსა 1847 წელს პარიზში გამოცემულ ალბომში „მშვენიერი კავკასია“, რის მიხედვითაც შემდეგში რიონიშვილმა შეასრულა შოთას პორტრეტი, რომელიც პოპულარული გახდა საქართველოში და საფუძვლად დაედო სხვა პორტრეტებს.

1640 წელს პატრი ქრისტეფორე კასტელის მიერ დახატული რუსთაველის პორტრეტი რომში, ვატიკანის არქივში ინახება. 1881 წელს პოეტის პორტრეტი შეუსრულებია ფრანგ მიურატს. იტალიაში დახატული — „შოთა რუსთაველი და აკაკი წერეთელი“ 1908 წელს აკაკის იუბილეზე გამოგზავნა მიხეილ თამარაშვილმა. რუსთაველის ორიგინალური პორტრეტი ამშვენებს 1937 წელს გამოცემულ კრებულს „რუსთაველი ქვეყნის უნივერსიტეტში“. არსებობს ფრანგი ფლიერის მიერ დახატული სურათი, რომელიც 1852 წელს ვორონცოვის დაკვეთით შეუსრულებია. ეს სურათი შესულია გ. გაგარინის ფრანგულ ალბომში.

გიორგი ლეონიძე,

საქართველოს სახალხო პოეტი

ვეფხისტყაოსანს

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი...
ჩაგცქერი;
წიგნი კი არა, — ჟრუანტელი ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.
წიგნი კი არა, — ბაღი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი;
გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლეკვის ფრთა გაუცვეთელი!
წიგნი კი არა, — დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი,
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.
ქაღალდზე გწერენ... სიტყვების
ნაცვლად ლალები სხდებიან;
გბეჭდავენ—
ნიშნები სტამბური
ვარდებად აყვავდებიან.
გკითხულობენ და გმღერიან
ლხენით გულ-დამერცხლებული;
შენგან ჰყავს ხალხის სიცოცხლეს
სიკვდილი დამარცხებული!
უთენებელი ბნელეთის
შენ ერთი გვყავდი მთეველი;
სიმღიდრე ბევრი წაგვართვეს,
შენ დაგვრჩი წაურთმეველი!
შენ არ გჭიროდა სახიზრად
გამოქვაბულთა წყვდიადი.
არწივის ფრთაში ჩასაფრდი,
ქოხის ნაცარში ბრწყინავდი.
გწვავდნენ და არ იწვებოდი,
ცეცხლში დიდების მხვეჭელი.
ვერც ქარიშხალი გფანტავდა,
ხეების ამომგლეჯელი.
შენ ხმალის ღარზედ ეწერე,
ანდერძი ოქროხმოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“
წიგნო, წინ მიუძღვებოდი
ხალხს უკვდავების ნაღარით;
შენ გწერდა დიდი რუსთველი,
თავს ოქროგადანაყარი.
შენ გწერდა ცისკრის კამკამი,
ხევთა ხმა, ზღავის ზრიალი;
შენს კალამს ორბი ჰზიდავდა,
ტყავს — ვეფხვი თანაზიარი.
შენ გწერდა ქალის წამწამი,
ვაჟკაცის მკერდი გმირული,
შენ ხალხი გწერდა მხედარი,
ბრძნულით გულამოკირული.
შენ ჩვენი სიჭაბუკე ხარ,
გული არ დაგიძველდება,
სიმღერა, დილას ნამღერი,
შვიდასი წელი გრძელდება!
აახმაურე სამშობლო,
კარისკარ ჩამოიარე;
ზოგს პურმარილზე შეესწარ
და ზოგს უხვევდი იარებს.
მიჯნურს, გულადუღებულსა,
სიცოცხლეს დაუელვარებ;
ლაშქარს უსარდლებ სარდალი,
ხელში ხმალს აძლევ მღელვარეს.
სიყვარულს სიყვარულითა,
ძმობით ძმას ეპასუხები,
დიდ ჭირში დაგვაფოლადებ,
დავდებით, როგორც მუხები.
შენ ხელსატაცი სიტყვა ხარ,
დიდია შენი სახელი;
მთების საბრტყენი გადასჭერ,
სამშობლოს გარეთ გახველი.
შენი სიბრძნე და ოცნება
გულში აქვთ გამოკვანძილი;
ჩამოურიგდი ქვეყანას,
როგორც დიდი მზის ნაწილი.
კარებს გიღებენ ტკბილ სტუმარს
ქალაქები და სოფელი,
სიმღერა გულში ნათქვამი,
გახდი მსოფლიოს მფლობელი.
გაქანდი, ოქროსფრთიანო,
გასცდები ქვეყნის ნაპირსა, —
შენ, დედაჩემის მზითევო,
ფარ-ხმალო მამა-პაპისა!

საფრანგეთის ციხე ქვეშ

ფრანგი პარტიზანის მარიუს დიკუის ნაამბობი

მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ყოფილ ფრანგ პარტიზანთა დელეგაცია, რომლის წევრებმა დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენს თანამემამულეებს სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან გამოქცევასა და პარტიზანებთან შეერთებაში.

საბჭოთა კავშირში ყოფნისას ფრანგმა სტუმრებმა მოინახულეს ქართველი თანამებრძოლნი, დაათვალიერეს ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობანი და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ სამშობლოში, რის შესახებაც ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ.

ქვემოთ ვბეჭდავთ დელეგაციის ერთ-ერთი წევრის, დორდონის დეპარტამენტის I ბატალიონის 222-ე ასეულის ყოფილი პოლიტკომისრის მარიუს დიკუის ნაამბობს (საფრანგეთში მებრძოლ ქართველ პარტიზანებზე), რომელიც გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტმა ჩაიწერა.

— **როგორც** ტყვეთა ბანაკებიდან გამოქცეული ქართველი ამხანაგების მნახველი, პარტიზანებთან მათი შეერთებისა და მამაცური ბრძოლების მოწმე, მოვალე ვარ აქ ჩემი ამხანაგების სახელით გავიხსენო ზოგიერთი მათგანი ამ ომში შობილი ძმობის დასტურად.

ჩემი სურვილია ამ პატარა ნაამბობმა ხელი შეუწყოს გუშინდელ თანამებრძოლებთან კავშირის განახლებას და მისცეს მომავალ თაობებს ნამდვილი სურათი პარტიზანული მოძრაობისა. მსურს დორდონის ყოფილ პარტიზანთა სახელით გამოვთქვა ჩვენი ურყევი ნება — შევკრთეთ მთელი ჩვენი ძალები, რათა ღირსეულად დავაფასოთ მოპოვებული გამარჯვება, წინ აღუდგეთ გერმანული მილიტარიზმის ხელახლა აღორძინებას, რომელიც ოცი წლის წინათ დავასამარეთ...

მინდა მოგითხროთ ფრანგი და საბჭოთა პარტიზანების ერთობლივ ბრძოლის მხოლოდ ზოგიერთი სურათი.

1943 წლის შემოდგომაზე გერმანელმა ფაშისტებმა პერიგიუს ერთ-ერთ ყაზარმაში ქართველებისაგან შემდგარი ბატალიონი დაბანაკეს. ისინი შეაგროვეს ტყვეთა ბანაკებში, სადაც ნაცისტები შიმშილით ხოცავდნენ ადამიანებს. გერმანელებმა შესთავაზეს ქართველებს ცოცხლად დარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა: წასულიყვნენ იმ ქვეყნების დასაპყრობად, რომლებსაც გერმანელები შეესივნენ. მეტი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგან აღმოსავლეთის ფრონტზე საჭიროები მისთვის არასასურველად წარიმართა.

იარაღის მიღებისთანავე ქართველმა ტყვეებმა გადაწყვიტეს ლეგიონში ფარული ორგანიზაცია ჩამოეყალიბებინათ და ფრანგ პარტიზანებთან კავშირი დაემყარებინათ. პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. არალეგალური ორგანიზაციის მეთაურები აბრამიძე და ებრალიძე სხვა 7 ამხანაგთან ერთად გესტაპომ დაატყვევა და სიკვდილით დასაჯა პერიგიუს ტყეში.

ცოტა უფრო ადრე 1943 წლის 2 ოქტომბერს, პერიგიუს ბანაკიდან გაიქცა 5 ტყვე: პეტრე ქიტიაშვილი, გიორგი შავშიშვილი, არსენ შუბითიძე, სულიკო რუსიშვილი და ვიქტორ ალიმბარაშვილი. ისინი იყვნენ პირველი საბჭოთა ტყვეები, რომლებმაც ბანაკიდან გაქცევა და ფრანგ პარტიზანებთან შეერთება მოახერხეს. გამოქცეულებს მონტინიაკის მახლობელ სოფელ ობაში შევხვდით. ისინი „ჟაკე ლო კროკანის“ ჯგუფში ჩავრიცხეთ. მალე პეტრე ქიტიაშვილი მისივე თხოვნით გადავიყვანეთ პარტიზანთა ინტერნაციონალურ ჯგუფში, რომელიც ძირითადად ესპანელებისაგან შედგებოდა. სხვები კი ჩვენთან დარჩნენ არალეგალური სამხედრო კადრების სკოლის განკარგულებაში.

1944 წლის იანვრის პირველ ნახევარში ჩვენს ჯგუფს კიდევ 4 საბჭოთა ტყვე შემოურთდა. ესენი იყვნენ: საშა ხეთაგუროვი, ვიქტორ ალექსეენკო, ივანე პოლიპენკო და გრიგოლ შავერდაშვილი. ტყვეთა ბანაკში მათ ღირსეულად ეჭირათ თავი — უარი განაცხადეს ემუშავნათ ჰიტლერელებისათვის. მაშინ გერმანელებმა მათ ელზასის სიკვდილის ბანაკებში გაგზავნა დაუპირეს, მაგრამ საბჭოთა მეომრებმა სხვა ამხანაგებთან ერთად გატეხეს ვაგონი და მიმავალი მატარებლიდან გადმოხტნენ. აღსანიშნავია, რომ მათ უარი განაცხადეს შვეიცარიის ტყვეთა საერთაშორისო ბანაკში გაგზავნაზე, სადაც ომის დამთავრებამდე უპირებდნენ დატოვებას, და ამჯობინეს გაეგრძელებინათ ბრძოლა ჰიტლერელ თავშესტა წინააღმდეგ საფრანგეთის მიწაზე.

4 მარტს საფრანგეთის მარიონეტული დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის, მოღალატე პეტენის 600 პოლიციელი მონტინიაკის მახლობლად გარს შემოერტყა ჩვენს ბანაკს, რომელიც 3 დღის წინათ მივატოვეთ. როგორც კი ეს ამბავი გავიცნობეს, პარტიზანთა ჯგუფი, რომელშიც 10 საბჭოელი და 9 ფრანგი ირიცხებოდა, ბანაკისაკენ გაემართა და ზურგიდან თავს დაესხა მტერს. ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა. იმ დღეს 51 ფაშისტი დავხოცეთ, ჩვენ კი მხოლოდ ერთი პარტიზანი დაგვიჭრეს მსუბუქად. იმ დღეს გიორგი შავშიშვილის სიმამაცე მართლაც რომ ზღაპრული იყო.

საშა ხეთაგუროვი, ვიქტორ ალექსეენკო, გიორგი შავშიშვილი, გრიგოლ შავერდაშვილი და მათი ამხანაგები მალე გაეცნენ ჩვენი რაიონის რელიეფს, დაეუფლნენ ფრანგულ ენას. მათი ყოველი გამოჩენა მტერს თავზარს სცემდა. ისინი მოულოდნელად ესხმოდნენ თავს ფაშისტებს ხან სარლატის, ხან მონტინიაკისა და ლოტ ე გარონის რაიონში, სადაც შლიდნენ მტრის საკომუნიკაციო გზებს და მოსვენებას არ აძლევდნენ მის დამცველ ნაწილებს.

საშა ხეთაგუროვმა თავის ამხანაგებთან ერთად მოამზადა და წარმოადგინა პერიგიუს გარნიზონიდან ქართველ ლეგიონერთა გაქცევის გეგმა. ჩვენი თანხმობით იგი დაუკავშირდა ლეგიონერებს და ეს გეგმა სისრულეში მოიყვანა გიორგი კობალაძესთან ერთად.

1944 წლის 23 აპრილს 85 ქართველი ლეგიონერი ვლადიმერ გვენეტაძის მეთაურობით საშა ხეთაგუროვის პარტიზანულ ჯგუფს შეუერთდა. მათ მიჰყვა 11-კაციანი ჯგუფი, რომელსაც ალექსანდრე შაგაშვილი და მიხეილ თოხაძე ხელმძღვანელობდნენ. ამის შემდეგ სისტემატურად ვიღებდით 5, 6, 8, 10 კაციან ჯგუფებს და თითქმის ყველა მათგანს პარტიზანთა 222-ე ასეულში ვგზავნიდით, რომელიც იმხანად ლა შაპელ ობრიელში იყო დაბანაკებული.

ტყეში მოსვლისთანავე ქართველები იხდიდნენ სამხედრო ფორმას და სამოქალაქო ტანსაცმელს იცვამდნენ. იარაღის მიღებისთანავე ისინი მიეშურებოდნენ გზებზე, ქალაქების კარიბჭეებისაკენ, ფრანგ ამხანაგებთან ერთად აწყობდნენ საბოტაჟს, შოულობდნენ იარაღს. მათი მეომრული ქონი მართლაც სამაგალითო იყო ყოველი ჩვენგანისათვის.

მინდა გიამბოთ ერთ-ერთი ქართველი პარტიზანის „შაქროს“ — იგივე გიორგი ლამაზოშვილის შესახებ. ჩვენ იგი „გარდეტის“ ბანაკში დაგვხვდა. ის მარტოდმარტო გამოქცეულიყო ლეგიონიდან და ფრანგ პარტიზანებს შეერთებოდა. წინადადება მივეცით გამოგვყოლოდა და ჩვენს რაზმში ებრძოლა თავის ძველ ამხანაგებთან ერთად. სიხარულით დაგვთანხმდა. ბლიზ ებორნის უღრან ტყეში შევხვედით აქ დამალული იარაღის წამოსაღებად.

როგორც კი დანიშნულ ადგილს მივაღწიეთ, საეჭვო ხმაური შემოგვესმა. ჩვენ თერთმეტნი ვიყავით: ათი ფრანგი მეთაური და ერთი ახლად შემომატებული ქართველი.

შაქრომ ნიშანი მოგვცა და იქით გაეშურა, საიდანაც ხმაური ისმოდა, როგორც კი რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ტოტებს მოეფარა, იმ წამსვე გაისმა ძახილი „ჰალტ!“, რასაც ავტომატების ჯერი, სასიკვდილოდ დაჭრილთა კვნესა და ტყვიამფრქვევთა კაკანი მოჰყვა. შაქრომ სამი ფაშისტი საიქიოს გაისტუმრა, ორიც სასიკვდილოდ დაჭრა და ავტომატის განუწყვეტელი ცეცხლით სამშვიდობოს გაიყოლია. ჩვენ საწინააღმდეგო მხარეს გავემართეთ, მაგრამ მალე ისევ მტრის გარემოცვაში აღმოვჩნდით. მოულოდნელად შაქრომ ხელახლა შეუტია მტერს, თავგზა აუბნია და უკან დაახევინა. ეს დღე სამუდამოდ დაგვამახსოვრდა. მამაცმა ქართველმა პარტიზანმა ფრანგი მეგობრები განსაცდელისაგან იხსნა. ასე ჩაებეჭდა სამუდამოდ ყოველ ჩვენგანის ქართველი კაცის სახელი „შაქრო“ და როცა ერთად ვართ ამ ბრძოლის მონაწილე პარტიზანები, ყოველთვის ვგონებთ ქართველი მეომრის მამაცურ მოქმედებას, რომელსაც უნდა უმადლოდეს თვითეული ჩვენგანი საკუთარ სიცოცხლეს.

ნორმანდიაში მოკავშირეთა გადმოსხდომის შემდეგ ჩვენს მოქმედებას უფრო ფართო და მნიშვნელოვანი ხასიათი მიეცა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალაქ ბერჟერაკის რკინიგზის სადგურზე ჩატარებული ოპერაცია, რომელიც საბჭოთა მეომრებმა გიორგი ბერაძისა და ვანო კულუმბე-



გაშვილის მეთაურობით განახორციელეს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ქართველი პარტიზანების თავდასხმას „დას რეინის“ სს-ელთა დივიზიის სატანკო კოლონაზე, რომელიც ნორმანდიაში გასწნილი მეორე ფრონტისაკენ მიეშურებოდა: 13 ივლისს საშა ხეთაგუროვის ჯგუფმა ააფეთქა თენონის ხიდი, რომელიც პერიგიუ-ბრივის შემაერთებელ ხაზზე იმყოფებოდა; სიმამაცე გამოიჩინა აგრეთვე გიორგი ხაჭაპურიძემ მდინარე ლა ვეზერის ნაპირებთან წარმოებული ომის დროს. აქ მან თავის ახალგაზრდა ფრანგ თანაშემწესთან ერთად, რომელსაც ქართველები „კიკალას“ ეძახდნენ, ტყვიამფრქვევით მუსრი გაავლო გერმანელთა კოლონას.

გერმანელთა შტაბი ბრაზისაგან ცოფს ჰყრიდა: საოკუპაციო არმია თვალსა და ხელს შუა დნებოდა, დღითიდღე იზრდებოდა პარტიზანთა რიგები, რომლებმაც ფაშისტებს ზურგიდან ჩასცეს მახვილი.

საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გაზეთი 1944 წლის 18 ოქტომბერს წერდა: „ფრანგები უსაზღვროდ მადლიერნი უნდა იყვნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა, რომელთაც გერმანელთა ბანაკებიდან გაქცევისთანავე პარტიზანებს მიაშურეს და საფრანგეთის მიწაზე სამაგალითო არმიის გამოცდილება მოიტანეს“.

უფრო მეტი სიცხადისათვის უნდა ითქვას: საბჭოთა მეომრები ყველგან იყვნენ და მუდამ იყვნენ საუკეთესოთა შორის.

მათი დახმარება არასოდეს არ დაივიწყებენ ფრანგ თანამებრძოლები. მათ ჩვენში დატოვეს შთაბეჭდილება მტკიცე ნებისყოფიანი, მამაცი ადამიანებისა, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ თავიანთი ქვეყანა და მშობლიური ხელისუფლება.



სურათებზე: ქვემოთ — ფრანგი პარტიზანები ჭუთაისში თავიანთ ქართველ თანამებრძოლებთან; ზემოთ — საფრანგეთი, ქ. პერიგიუ, ძეგლი ცხრა ქართველი პარტიზანის სამხრ საფლავზე.

ექვსი ოქროს მედალი

◆ მეტრეველის გამარჯვება ◆ ექვსი ჩემპიონი საქართველოდან ◆ საშემოდგომო ფეხბურთი ◆ გაფრინდაშვილი მაინც გაფრინდაშვილია

ბრწყინვალე გამარჯვების მოიპოვა მიმდინარე სეზონში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფურნალისტიკის განყოფილების სტუდენტმა 22 წლის ჩოგბურთელმა ალექსანდრია მეტრეველმა. მარტო ის რად ღირს, რომ მან პირველმა საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიაში დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ესპანელი მანუელ სანტანა, შეივდა მსოფლიოს საუკეთესო ათეულში და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

ამას წინათ გაზეთ „სოვეტსკი სპორტი“ წერდა — მეტრეველმა მოკლე დროში ასეთი ნახტომი გააკეთა, რომ გაოცდები, მისი თამაში სრულყოფილი გახდა“. და მაინც ა. მეტრეველი არასოდეს ყოფილა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, მას წინ ყოველთვის ესტონელი თ. ლეიფუსი ეღობებოდა. მაგრამ წელს ქართველი ჭაბუკი სამჯერ შეხვდა თ. ლეიფუსს და სამივეჯერ დამარცხა იგი. სპეციალისტებში ეჭვს აღარ იწვევდა, რომ ჩემპიონატის ფინალში მეტრეველი გაიმარჯვებდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მუდმივი მეტოქეები ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. ესტონელი ნახევარფინალში დამარცხდა მოსკოველ ვ. ეგოროვთან. ფინალური მატჩი ა. მეტრეველმა კარგად ჩაატარა (თუმცა როგორც თვითონ ამბობს, ამ ჩემპიონატში იგი არ იყო საუკეთესო ფორმაში), მოიგო მატჩი — 3:1 და პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

არ ყოფილა საბჭოთა ჭიდაობის ისტორიაში შემთხვევა, საკავშირო ჩემპიონატი ისე დამთავრებულიყოს, საქართველოდან რომ არ ყოფილიყო ერთი ჩემპიონი მაინც. ეს განსაკუთრებით თავისუფალ ჭიდაობაზე ითქმის: ორმოცდაათიან წლებში იაპონიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებში ყველა საქართველოდან იყვნენ. წელსაც წარმატება ხვდათ ქართველ ფალავნებს, ოთხი ოქროს მედალი ჩამოიტანეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა, ორი კი კლასიკური სტილის ათლეტებმა.

ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ ზაურ შეურილაძე (უმჩატესი წონა), ზაქარეიშვილი (მსუბუქი წონა), გურამ სალარიძე) ქვესაშუალო წონა), შოთა ლომიძე (ქვემძიმე წონა). ეს სპორტსმენები პირველად როდი ადიან უმაღლეს კვარცხლბეკზე, მათ ყველას საკმაო გამოცდილება აქვთ, მსოფლიოს ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორები არიან, გ. სალარიძე კი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია.

არც კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა მოიმკიეს ცუდი მოსავალი. მსუბუქ და საშუალო წონაში ბადალი არ ჰყავდა დ. გვანცელაძეს და თ. ბაბუაშვილს.

საშემოდგომო ფეხბურთმა ოდნავი სიხარული მოუტანა ქართველ გულშემატკივრებს. სიხარული იმიტომ, რომ თბილისის „დინამომ“ გამოდმებული კრიზისის შემდეგ შედარებით გააუმჯობესა თამაში, მაგრამ საუკეთესო ფორმისაგან რასაკვირველია ჯერ კიდევ შორს არის. რაც არ უნდა დიდი წარმატებები გვქონდეს სპორტის სხვა სახეობებში, თუ ფეხბურთში საქმე ცუდათაა, ყველაფერი წყალში გადაირილის შთაბეჭდილებებს ტოვებს. რას იზამ, ფეხბურთი ფეხბურთია, საქართველოში — № 1 სპორტი. დინამოელთა წარუმატებლობას მრავალი მიზეზი აქვს და ამას ჩვენ ახლა არ გამოვუდგებით. შემდეგისათვის იაოავდოთ, მითუმეტეს ჩემპიონატი მალე დამთავრდება. არც ქუთაისელები გვახარებენ მიღწევებით, მართალია გუნდს არ ემუქრება უმაღლესი ლიგის დატოვება, მაგრამ მე-17 ადგილზე ყოფნა არც თუ სახარბიელოა რესპუბლიკის მეორე გუნდისათვის.

თუმცა მოხდა ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი. ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და ერევნის „არარატი“ ხვდებოდნენ. დინამოელებმა ამ მატჩში ითამაშეს ისე, როგორც მათ ეს საუკეთესო წლებში სჩვეოდათ, დამარცხეს მეტოქე — 5:0, მაგრამ მთავარი ანგარიში როდია, საქმე იმაშია რომ ხუთივე გოლის ავტორი ერთი და იგივე მოთამაშე იყო. ეს იყო ილია დათუნაშვილი. ერთ თამაშში ხუთივე ბურთი — ეს რეკორდია და ამასთანავე პირველი შემთხვევა საბჭოთა ფეხბურთში.

დასავლეთ გერმანიაში ქალთა მესამე საჭადრაკო ოლიმპიადა დამთავრდა. ეს მსოფლიოს პირველობაც არის ამავე დროს. ქალთა ნაკრები გუნდები, რომლებშიც მრავალი ცნობილი მოჭადრაკე იყო, თითქმის ერთი თვე იბრძოდნენ პირველობისათვის. ჩემპიონატის რეგლამენტი ძალზე რთულია. გუნდები ორ-ორი მოჭადრაკისაგან შედგება და ბუნებრივია ყოველ ნახევარ ჭულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა გუნდს ლიდერობდა მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. პირველსავე ტურში დამარცხდნენ ჩვენი წარგზავნილები. რუმინელებმა მათ 2:0 მოუგეს. ეს პირველი და უკანასკნელი წარუმატებლობა იყო. დარჩენილ ოცდაორ შეხვედრაში საბჭოთა ქალებმა 21,5 ჭულა მოაგროვეს, ეს იშვიათი მოვლენაა ჭადრაკში. მართალია ნონამ პირველი პარტია წააგო რუმინეთის ჩემპიონ ნიკოლაუსთან, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ამარცხებდა უძლიერეს მოჭადრაკეებს და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მისი დამარცხება შემთხვევითი იყო.

სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენებიც ბევრი იყო: მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის ნინო დუმბაძის ვაჟიშვილი ი. დიაჩკოვის ოქროს მედალი მძლეოსნობაში, მან მეორედ ზედიზედ მოიგო ოქროს მედალი ათჭიდში, თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა მესამე სპარიზო ადგილი საკავშირო ჩემპიონატში და სხვ. ამით დავამთავრეთ ეს მიმოხილვა. მომავალ ნომერში კი ჩვენი საუბრის თემა ფეხბურთი იქნება.

ო. ლორთქიფანიძე.

დაგეძებენ, მოგელიან

თოდუა თეოფანე ჭუზუს-ძეს, დაბადებულს 1905 წელს ხობის რაიონის სოფელ ხორგაში, ეძებს ძმა — თოდუა გეგლარი ჭუზუს-ძე, მცხოვრები ქ. თბილისში.

ამხანაგების გადმოცემით თოდუა თეოფანე ტყვედ იმყოფებოდა დასავლეთ გერმანიის ქ. ნოიჰაბერში 1943 წლის გაზაფხულიდან 1944 წლის დასასრულამდე.

ქორთუას აკაკი ნესტორის-ძეს, დაბადებულს 1915 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთაში, ეძებენ მეუღლე — თოდუა ლუბა ჭუზუს ასული და შვილი — ემანუილ აკაკის-ძე ქორთუები, მცხოვრებნი ქ. თბილისში.

ალავერდაშვილს ივანე (ბიჭიკო) ნიკოლოზის-ძეს, დაბადებულს 1922 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ გოდგისხევში, ეძებს დედა—თამარ ხარიტონის ასული და მამა — ნიკოლოზ ივანეს-ძე ალავერდაშვილები, მცხოვრებნი ქ. თბილისში.

კუპარაშვილს თორნიკე ალექსის-ძეს, დაბადებულს 1918 წელს ქ. ფოთში, ეძებენ შვილები— ჯემალ და ომარ თორნიკეს-ძე კუპარაშვილები, მცხოვრებნი თბილისში.

სამხარაძეს ლევან სიმონის-ძეს, დაბადებულს 1915 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში, ეძებს დ — სამხარაძე გალინა სიმონის ასული, მცხოვრები თბილისში.

ამხანაგების გადმოცემით ლევან სამხარაძე 1943 წელს ტყვედ იმყოფებოდა გერმანიაში.

სტეფანოვს სტეფანე არამის-ძეს, დაბადებულს 1918 წელს ქ. გორში, ეძებს ძმა — სტეფანოვი გრიგოლ არამის-ძე, მცხოვრები ქ. თბილისში.

ძმებს **ამილახვარს შალვა (შიხი) ნიკოლოზის-ძეს,** დაბადებულს 1920 წელს და **ამილახვარს (ნატალიაშვილს) გიორგი (გოგი) ნიკოლოზის-ძეს,** დაბადებულს 1916 წელს კასპის რაიონის სოფელ გრაკალში, ეძებს გიორგი ამილახვარის (ნატალიაშვილის) მეუღლე თამარ ალექსანდრეს ასული ნატალიაშვილი, მცხოვრები ქ. თბილისში.

გადმოცემით შალვა (შიხი) ამილახვარი 1948 წელს იმყოფებოდა საფრანგეთში ტყვეთა საფილტრაციო ბანაკში.

გახტურიძეს კობა პანტოს-ძეს, დაბადებულს 1920 წელს, ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში, ეძებენ — მეუღლე რუსუდან გიორგის ასული გელაძე, შვილი — ჯუმბერ კობას-ძე გახტურიძე, მცხოვრებნი თბილისში, იოსებიძის ქ. № 61.

წერუაშვილს ნიკა (ნიკოლოზი) იოსების-ძეს, დაბადებულს 1906 წელს კასპის რაიონის სოფელ დოესში, ეძებს შვილი — თენგიზ ნიკოლოზის-ძე წერუაშვილი, მცხოვრები თბილისში, ელავარის ქ. № 105.

ცქვიტინიძეს დიმიტრი (ჯოია) ვლადიმერის-ძეს, დაბადებულს სოფ. გახვში, ეძებს და—ვალია ვლადიმერის ასული ცქვიტინიძე, მცხოვრები თბილისში, ვაზისუბნის ქ. № 97.









ეს სურათები თქვენმა ნათესავებმა — შვილებმა. ძმებმა თუ დებმა მოიტანეს რედაქციაში და გვთხოვეს გაზეთში დაგვებეჭდა. სიამოვნებით ვასრულებთ მათს თხოვნას.

სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — დიმიტრი ცქვიტინიძე, ნიკა წერუაშვილი, შიხი ამილახვარი, გიორგი ამილახვარი (ნატალიაშვილი).

გამოსწერეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.